ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენგიზ ცეცხლაშვილი

ჩვენი დროის დეკამერონი

ბათუმი
2010

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა ვ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

აბა, სუფრასთან რომელ მამაკაცს არ დაულევია მოგონებათა სადღეგრძელო პირველი სიყვარულისა, თუ გინდ უიმედოსი, ან იმ ქალბატონებისა, ვინაც ყმაწვილობაში სითბო და ალერსი გვაჩუქა, ვინაც „ნამუსი“ აგვხადა. . . ვინ მოთვლის, რამდენჯერ გაუმართავთ საუბარი ვიწრო წრეში მეგობრებს და ყველას თავისი თავგადასავალი გაუხსენებია. ერთხელ მეგობარმა არჩილმა ჩემთან დარდით და სინანულით წარმოთქვა - „ვაი, რომ ამ ყოველივეს საფლავში გავიყოლიებო“ და თავის თავზე ბევრი რამ მომიყვა. მაშინ მომივიდა აზრად, რომ ეს პატარა თავგადასავლები დამეწერა–სადაც იუმორიცაა და მამაკაცური საქციელიც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტუდენტური ვოიაჟები

არჩილი პირველად ქ. მოსკოვში 1967 წლის იანვარში თავის თანაკურსელთან, გიზოსთან, ერთად გაემგზავრა. ზამთრის არდადეგები იდგა. გიზო არჩილზე რამდენიმე წლით უფროსი იყო, რუსეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში ნამყოფი გახლდათ, ბევრი ნაცნობიც ჰყავდა, მათ შორის მანდილოს-ნებიც . . . საშუალო ტანის, ათლეტური აღნაგობის სიმპათიური, ახალგაზრდა კაცი იყო. არჩილი და გიზო თბილი-სის ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთელები იყვნენ. მანამდე გიზო როსტოვის ერთ-ერთ გუნდში თამაშობდა, არჩილი კი ინსტი-ტუტში მოწყობამდე ბათუმის ნორჩ დინამოელთა გუნდის წევრი გახლდათ. ჰოდა, რუსეთის „მკვლევარმა“ გიზომ არჩილს უთხრა: მოსკოვში, ძმაო, ქალები უცებ დაგაბამენ და არ იჩქაროო მათი გაცნობა. სათანადო ინსტრუქტაჟიც ჩაუტარა ახალბედა „მონადირეს.“

მოსკოვში, მარიინა როშჩას უბანში, ოქტომბრის გამზირზე, გიზოს ნაცნობთან - ანატოლი სევიდოვთან დაიდეს ბინა. ჩასვ-ლისთანავე სასტუმრო ვერ ნახეს. საღამოს, როგორც წესი და რიგია, გაიწყო სუფრა. ანატოლიმ წვეულებაზე თავისი მეზობელი ქალი დაპატიჟა. სუფრასთან ანატოლი თავის მეუღლესთან ერთად იჯდა. ბევრი იხალისეს, არჩილმა და გიზომ თითო ჭიქა არაყი დალიეს. როდესაც დადამდა, გიზო და მეზობელი ქალი გაუჩინარდნენ. არჩილმა ანატოლის ჰკითხა: გიზო ამდენ ხანს სად არისო? იმან კი უპასუხა: ,,Наверное гуляет с Наташей." გვიანი იყო. არჩილი ოთახში შევიდა დასაძინებლად. უკვირდა, გიზო რამ გააგიჟა ამ სიცივეშიო, და ამ ფიქრებით მიეცა ძილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დილით არჩილი გიზოს ოთახში შემოსვლამ გააღვიძა. დაინახა თუ არა გიზო, სიცილი აუტყდა, ამ სიცივეში ქუჩებში რას დასეირნობდიო? - ვინ გითხრა მაგ სისულელე?– მიუგო გიზომ. ანატოლიმ მითხრა, – გასცა პასუხი არჩილმა, – გულიატ პაშლი ს ნატაშეი... მერე სწორი გითხრა, მასთან გავატარე მთელი ღამე, მის საწოლში . . . – როგორ ? - გაუკვირდა არჩილს, - ასეა, ჩემო არჩილ, - ეშმაკურად გაუღიმა გიზომ და უთხრა: გულიატ, ჩემო არჩილ,– რუსულად ზოგჯერ ლოგინში წოლასაც ნიშნავს...

ამ სიტყვის გაგონებაზე არჩილს დღესაც ეცინება, როდესაც ვინმე ნაცნობი რუსი ეტყოდა ამ ფრაზას, არჩილი ღიმილით აკონკრეტებდა ხოლმე „Гулять пашли? Или на самом деле пошли гулять? რასაც საერთო სიცილი მოჰყვებოდა ხოლმე. კარგად გათენებული იყო, არჩილი ადგა, წვერი გაიპარსა, დახედა გიზოს, ის ღრმა ძილში იყო. „საღამოს სმენიდან“ მოსულს „გულიანკის“ შემდეგ არაქათი გამოსცლოდა. შენზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო, – გაიფიქრა არჩილმა, თანაც გიზოდან სათანადო ინსტრუქტაჟი მიღებული ჰქონდა, პალტო ჩაიცვა და მალე ოქტომბრის გამზირზე აღმოჩნდა. გარეთ დამოუკიდებლად პირველად გავიდა, ცდილობდა შორს არ წასულიყო და მარტო ამ ქუჩაზე ესეირნა. ის იქვე, ანატოლის სახლის ახლოს, წიგნების პატარა მაღაზიაში შევიდა, შესვლისთანავე შვება იგრძნო, სიცივისაგან კინაღამ გაითოშა, გარეთ 25 - 27^0 ყინვა იდგა. წიგნის მაღაზიაში მისი ყურადღება დაბალმა თეთრთმიანმა ქალიშვილმა მიიპყრო. არჩილი რუსულს კარგად ფლობდა,მას იტაცებდა პუშკინისა და ლერმონტოვის პოეზია, ზეპირად იცოდა მათი რამდენიმე ლექსი. არჩილის შესვლა მაღაზიაში თეთრთმიან ქალიშვილს არ გამოპარვია, არჩილს მიუახლოვდა, გაუღიმა და ზრდილობიანად მიმართა, რას ინებებთო? არჩილმა პუშკინისა და ლერმონტოვის კრებულები შეიძინა, თეთრთმიანი მანდილოსანი არჩილის შეძენილმა წიგნებმა და რუსულის ცოდნამ განაცვიფრა. არჩილმაც ამით ისარგებლა და მას პაემანი დაუნიშნა. ქალიშვილიც დიდი სიამოვნებით დათანხმდა. სამუშაო საათების შემდეგ შეხვედრაზე შეთანხმდნენ, - ოლგა მაღაზიაში დაელოდებოდა. გახარებული არჩილი თავისი შენაძენით სახლში წავიდა. გიზო უკვე ამდგარიყო და თავს იწესრიგებდა. არჩილმა დანიშნული პაემნის შესახებ უამბო. გადაწყვიტეს, რომ ქალიშვილი თავიანთ ოთახში მოეპატიჟებინათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გეგმას სახლის პატრონიც დასთანხმდა, ანატოლი და გიზო არჩილს და ოლგას მარტო დატოვებდნენ.

გიზომ არჩილი „გამოპრანჭა“ და გზა დაულოცა, აბა, შენ იციო, მიაძახა გარეთ გასულს. წიგნის მაღაზია, იქვე ხუთი წუთის სავალზე იყო. არჩილი მივიდა დათქმულ დროზე, მაღაზია დაკეტილი დახვდა, შიგნით ორი ქალი, ოლგა და ერთი ახალგაზრდა მამაკაცი იყო. დაინახეს თუ არა არჩილი, კარი გაუღეს, ისიც შევიდა, მაგიდაზე შოკოლადის ნატეხები ეწყო და ჭიქები იდგა „პოლუსლადკოე“ შამპანურით შევსებული, ერთმა შუახნის ქალმა ჭიქა მიუტანა არჩილს, ახალგაზრდა მამაკაცმა კი ის შამპანურით შეავსო. არჩილი სახტად დარჩა, გაიფიქრა, პაემანზე აქ როგორ ხვდებიანო.

ერთმა ქალმა, რომელიც ძალზე აქტიურობდა, სადღეგრძელო შესვა, ჩვენ ქართველ სასიძოს გაუმარჯოსო, ის რომ არ ყოფილიყო, ამ დღეს არ მივიღებდითო და ყველამ ჭიქები მიუჭახუნა არჩილის შევსებულ ჭიქას. არჩილმა უცებ გაიფიქრა, აგენი მგონი მაქორწინებენო და დაიბნა, ვითარებაში ვერ გარკვეულიყო... თუმცა სათანადო გამოცდილება საიდან ექნებოდა, ზღვისპირა ქალაქში ბურთის თამაშის მეტს თითქმის არაფერს აკეთებდა, სიგიჟემდე უყვარდა ფეხბურთი და ქალები მისთვის უცხო ხილი გახლდათ, თუმცა სკოლის ასაკში კი ჰყვარებია გოგონა, მაგრამ აღარ გაუმხელია. არჩილმა სასმელზე უარი თქვა, მათ აუხსნა, რომ ის სპორტსმენი იყო და რეჟიმს იცავდა, რითაც მათი მოწონება დაიმსახურა, მეორე ჭიქით იმავე თამადა ქალმა ოლგას და იმ ახალგაზრდა კაცის სადღეგრძელო წარმოთქვა, და მათი შეუღლების ამბავი ამცნო იქ მყოფთ. მაშინ მიხვდა არჩილი, რომ ის თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა, თურმე ოლგა იმიტომ დათანხმდა პაემანზე, რომ მისი შეყვარებული, იქვე საწყობში მომუშავე იგორი გაებრაზებინა. იგორმა იმის შიშით, რომ ქალი ქართველმა არ წამართვასო, თავის საცოლეს მაშინვე რგოლის ბეჭედი უყიდა, და თანამშრომელი ქალების კარნახით არჩილის თვალწინ ოლგას თითზე წამოაცვა. არჩილს რა უნდა ექნა? დარჩა „გაწბილებული“, მაგრამ ის ახარებდა, რომ მისი უშუალო „დახმარებით“ ოჯახის შექმნას შეუწყო ხელი. მერე სულ ხუმრობდა ქალებთან და ამ ამბავს ხშირად იხსენებდა „კარგი ფეხისა“ ვარო, – ამბობდა თვითირონიით, ამ ამბის მოყოლაზე ბევრმა სთხოვა არჩილს ჩაწოლოდა ლოგინში. ოღონდ გავთხოვდეთო... ერთმა ენამოსწრებულმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალბატონმა ასეც იხუმრა, „სოჩიკი“ არც მე მიყვნია ზედ და არც შენო.

ასე რომ, პირველი პაემნიდან არჩილს პუშკინისა და ლერმონტოვის კრებული და რამდენიმე ქალი შერჩა, ვისაც მართლა გათხოვება დაებედა. შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითად ისიც გამოდგება, რომ მეორე წელს მოსკოვში ნაცნობი ქალი ტატიანა გაუთხოვდა. გიზო და არჩილი ქორწილშიც დაპატიჟეს. ქორწილში სიძე ისე დათვრა სხვებთან ერთად, რომ ტატიანა მისი მეჯვარეთი, მეგობრების სასტუმროში აღმოჩნდნენ...

წარუმატებელი პაემნის შემდეგ არჩილი და გიზო სასტუმრო „იუნაიაში“ მოეწყვნენ. გიზომ ნაცნობ მანდილოსანს დაურეკა. მეგობრები სადამოს მეტრო „კრასნოპრესნენსკაიასთან“ ამოვიდნენ და დათქმულ მისამართზე მივიდნენ. იქ, მეორე სართულზე, გიზომ ერთ - ერთი ოთახის კარების ღილაკს თითი დააჭირა, გაისმა ზარის ხმა, კარი გაიღო და ახალგაზრდა ქალი სახელად ვერა, გიზოს გადაეხვია, გიზომ მას მეტროსთან შეძენილი ყვავილები მიართვა. არჩილს საკვოიაჟი ეჭირა ხელში, რომელშიც ბამბანერკა, შამპანური, ნახევარი ლიტრი ჭაჭა, ცოტა ციტრუსი და პატარა ორკასეტიანი მაგნიტოფონი ედო, რომელიც ბატარეებზეც მუშაობდა. მოკლედ, „საბრძოლო“ საპაემნო ატრიბუტიკით მივიდნენ მეგობრები – „ჰა ბურთი და ჰა მოედანი“, ოღონდ ივარგე . . .

საუბრის შემდეგ, ვერამ სუფრა გაშალა, სიხარულს ვერ მალავდა. ასე, ოცდახუთი წლის იქნებოდა. მალე კარებზე ზარი გაისმა და ვერას ამხანაგი ქალი – ნატაშა მოვიდა. ის კარგი გარეგნობის გახლდათ. გაეცნო მეგობრებს. შემდეგ ყველა სუფრას მიუჯდა, ნატაშას სახეზე ეტყობოდა, რომ გაცნობით კმაყოფილი ჩანდა. მოკლედ, ქალებმა მალე მეგობრები „დააშორეს“.

გიზო ვერასთან დარჩა, ხოლო არჩილი ნატაშამ თავისთან წაიყვანა, იგი იქვე, მეზობლად მარტოდ ცხოვრობდა. რუსულ ყაიდაზე გაწყობილ ოთახში, ფართო ლოგინი იდგა, ზედ ბალიშები ეწყო. ქალმა უთხრა, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ამ ლოგინზე მოისვენეთ, მე კი მეორე ოთახში დავიძინებო. ასეც მოიქცნენ. ნატაშამ ლოგინი გაშალა და არჩილიც მარტო დატოვა. არჩილი ლოგინში შეწვა. აბა რას დაიძინებდა ცხრამეტი წლის ახალგაზრდა კაცი, ქალთან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უნდოდა შესვლა, მაგრამ ვერ ბედავდა. ბოლოს საკუთარი თავი მოთოკა და იმის შიშით, რომ არ შერცხვენილიყო, ისევე როგორც პირველ პაემანზე, გადაწყვიტა ძილს მისცემოდა და ყოველივე დაევიწყებინა. არჩილი ქალების მიმართ აგრესიული არ ყოფილა. ბევრი ჰქონდა გაგონილი უფროსებისგან, რომ ქალთან ძალადობა ვაუკაცის საქმე არ იყო. ამ ფიქრებში იყო, როცა ოთახში სინათლე ჩაქრა. ნატაშა ლოგინზე ჩამოჯდა და ოდნავ ჩუმი ალერსიანი ხმით წასჩურჩულა ყურში, – გძინავს? არჩილს სული შეეკრა, არ იცოდა, რა ეპასუხა. ნატაშამ თავზე ალერსიანად მიუთათუნა, მერე დაიხარა, ლოყაზე აკოცა. ნატაშა არჩილის მკლავებში აღმოჩნდა. ნატაშას მკრივი გულმკერდი, ოდნავ ფართო თეძო და თეთრი, გაფითქინებული კანი ჰქონდა. მოკლედ, უკეთესს რას ინატრებდა კაცი. მოხდა ის, რაც ახალგაზრდა კაცის ცხოვრებაში ხდება პირველად. ეს იყო არჩილის პირველი გატაცება. მათ მხოლოდ დილისკენ ჩაეძინათ.

დილით ადგა თუ არა, ნატაშამ ხალათი მოისხა. არჩილი დანახულით აღტაცებული დარჩა, გაიფიქრა, ახლა ამას ვახო რომ ხედავდეს, არ დაიჯერებს. ქუთაისელი ვახო და არჩილი ერთად ქირაობდნენ ბინას თბილისში, ინსტიტუტის ახლოს. არჩილს მალე ისევ ჩაეძინა. ცოტა ხანში ხელის ნელმა რყევამ გააღვიძა, თვალები რომ გაახილა კინაღამ ენა გადაყლაპა, მის წინ მილიციის კაპიტნის ფორმაში გამოწყობილი ლამაზი ქალი იდგა. ის ნატაშა გახლდათ. გაკვირვებული არჩილის თვალები რომ დაინახა, ჰკითხა, ხომ არ შეგეშინდა, ჯიგიტო? შიდა პატიმრობაში ხარ აყვანილი, – სიცილით უთხრა ქალმა. მაგიდაზე კეფირი, მდოგვი და ძეხვი დევს, არ მოგერიდოს, რომ ადგები ისაუზმე, გასაღები მაგიდაზე დევს, თუ არ დაიკარგები, მოხარული ვიქნები. გატარებული ღამისთვის მადლობა გადაუხადა, ასეთი სითბო და ალერსი დიდი ხანია არ მქონიაო და ოთახიდან გავიდა. მას ფორმა ძალზედ უხდებოდა.

ამის შემდეგ არჩილს არ დასძინებია, ადგა, შხაპი მიიღო, მერე ცოტა წაისაუზმა და ფიქრს მიეცა. ახალგაზრდა კაცი განვლილი ღამის „ორთა შერკინების“ შესახებ ფიქრების მორევში გადაეშვა. ტელეფონის ზარმა გამოაფხიზლა, გიზო რეკავდა. მილი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციამ ძალა ხომ არ გამოიყენა? - იცინოდა ყურმილში. ვერასაგან გაეგო ნატაშას შესახებ.

არჩილმა დარჩენილი დღეები მოსკოვში ნატაშასთან ერთად გაატარა და მისგან ბევრი რამ ისწავლა...

მოულოდნელი სტუმარი

რიგაში არჩილი და გიზო მოსკოვის გავლით ჩაფრინდნენ. სასტუმრო „რიგაში“ დაიდვეს ბინა. ცალ-ცალკე ნომრებში განთავსდნენ, მეექვსე სართულზე.

636-ში გიზო მოეწყო, ხოლო 638-ში – არჩილი. გიზომ არჩილი გააფრთხილა, ნომრებში ხშირად ქალები რეკავენ და პაემანზე უცებ არ დათანხმდეო. არჩილი წვერს იპარსავდა, ტელეფონმა რომ დარეკა. ყურმილი აიღო. ვიღაც ქალი დამტვრეული რუსულით ვახტანგს კითხულობდა. არ-ჩილმა, ვახტანგი აქ არ ცხოვრობსო უპასუხა და ყურმილი დადო. ზარი ისევ გაისმა, არჩილი ყურმილს მისწვდა, ისევ ის ნაცნო-ბი ხმა ისმოდა, ქალმა არჩილი „მოახუჭუჭა“ და პაემანი დაუნიშნა. არჩილმა სთხოვა დაქალთან ერთად მოსულიყო, რადგან მეგობარი ახლდა. სასტუმროს წინ ქალის დიდი ძეგლი იდგა და იქ შეთანხმდნენ შეხვედრაზე. რიგელები ხუმრობდნენ ამ ძეგლზე, ის ერთადერთი ქალიშვილია ლატვიაშიო. არჩილმა გიზოს ყოველივე უამბო, გიზომ გაიცხა: რად დაუნიშნე პაემანი, ჯერ წავიდეთ და ვისადილოთ, ძალები აღვიდგინოთ, მოსკოვში, ხომ ხედავ, უამინდობის გამო ფეხზე გავათენეთ, ასე რომ, ქალები მერე... იმ დღეს არჩილმა პაემანზე დაიგვიანა, უფრო სწორად, არც მისულა. მეგობრებმა კარგად ისადილეს, მერე კი ქალაქის ქუჩებში გაისეირნეს.

რიგა არჩილს ძალზედ მოეწონა. გიზო კი იქ მეორეჯერ იმყოფებოდა და არჩილს გიდობას უწევდა. რიგა არჩილის მანამდე ნახულ არცერთ ქალაქს არ ჰგავდა. ევროპული სტილის ქალაქში ხალხიც სხვანაირი იყო. დაათვალიერეს რიგის გარეუბნები, ძინდერი, მაერი, ბულდერი. ისადილეს რესტორან „პერლეში“, რომელიც ზღაპრულ ადგილას – ზღვის პირას იყო განლაგებული. აქედან ზღვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალწარმტაცი პანორამა იშლებოდა. რესტორანის უკან კი წიწვიან მცენარეთა პარკი იყო განლაგებული. ასე რომ, მეგობრებმა ერთი კვირით აქტიური დასვენება გადაწყვიტეს და პირობა დადეს, ქალს არ გაკარებოდნენ. უცნობმა ქალმა არჩილთან კვლავ დარეკა და პაემნის ჩაშლის გამო უსაყვედურა. შესჩივლა, ჩემს დაქალთან შევრცხვიო. არჩილმა ქალი დააწყნარა და აღუთქვა, რომ სამი დღის შემდეგ შეხვდებოდა. არ უნდოდა მეგობართან დათქმული სიტყვის გატეხა.

მეოთხე დღეს, ნავახშმი მეგობრები სასტუმროს რესტორანიდან ამოვიდნენ და დასასვენებლად თავიანთ ნომრებში შევიდნენ, საღამოს მუსიკის მოსასმენად ბარში შესვლას აპირებდნენ. მალე არჩილი გიზოს ნომერში შევიდა, ის იყო უნდა გამოსულიყვნენ, ტელეფონმაც დარეკა. გიზოს ძველი მეგობარი ქალი ურეკავდა, იგი რიგის გარეუბნის უნივერმაღში გამყიდველად მუშაობდა და გიზოს ჩამოაკითხა. მეტი რა გზა ჰქონდა, გიზო ქალთან შესახვედრად წავიდა, ხოლო სანამ ქალს ამოიყვანდა, მანამ არჩილს პატარა სუფრის გაშლა დაავალა. სტუმრების მიღება სასტუმროში საღამოს თერთმეტ საათამდე შეიძლებოდა, გადაცილების შემთხვევაში მობინადრე შეიძლება გაესახლებინათ. ჯერ რვა საათიც არ იყო. გიზო მეგობარ ქალთან ერთად მალე დაბრუნდა. ქალი ძალიან კარგი აღნაგობისა იყო, ყველაფერი თავის ადგილზე ჰქონდა. ძალიან მიმზიდველი და სექსუალური გახლდათ რეგინა. მან გიზოს უსაყვედურა, თუ მეგობარი გყავდა, რატომ არ მითხარი როცა დამირეკე, ჩემს დაქალს წამოვიყვანდიო. მოკლედ, ისაუბრეს, ცოტაც დალიეს და არჩილმა მალე ისინი მარტონი დატოვა. რეგინა სახლში თერთმეტ საათამდე უნდა წასულიყო, რადგან დილით სამსახურში იყო გასასვლელი. ამიტომაც არჩილმა მათ ბურთი და მოედანი დაუთმო. გავიდა თავის ნომერში. არჩილმა სპორტულები ჩაიცვა, ტელევიზორი ჩართო და ლოგინზე წამოგორდა. მაგრამ გული ვერ დაუდო, გაბრაზებული იყო გიზოზე, ქალმა არჩილს პაემანი დაუნიშნა, გიზომ არ გაუშვა, თვითონ კი ნაცნობ ქალბატონთან ერთად ნებივრობს, არჩილმა კი ტელევიზორს უნდა უყუროსო, ფიქრობდა მისთვის გაბრაზებული. ამ ფიქრებში იყო გართული, როცა გიზომ დარეკა, არჩილს ბოდიში მოუხადა, დღეს არ ველოდებოდი ამ ჩე - სო და ხვალ შენთვის მოვაყვანინებ დაქალსო, მერე არჩილს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეგინაც ესაუბრა და ბოდიში მოუხადა. მოკლედ, რეგინა იმ ღამეს გიზოსთან დარჩა.

საღამოს თერთმეტი საათი იყო დაწყებული, როდესაც არჩილს გარედან ხმაური შემოესმა. კარები გააღო და რას ხედავს, შუა დერეფანში ერთ-ერთი ნომრის კარები იყო გაღებული და იქიდან დამტვრეულ რუსულ ენაზე კავკასიური კილოთი მამაკაცი შველას ითხოვდა. არჩილი იმ წამსვე ნომერში შევარდა, იატაკზე გონებადაკარგული ქალი იწვა. კაცმა ქართულად მოლაპარაკე არჩილი რომ დაინახა, უთხრა: მიშველე, ბიჭო. ეს ჩემი ნაცნობი ქალია. ხშირად დადის ჩემთან. წასვლას აპირებდა და უცებ გული წაუვიდა. იქვე სართულის ადმინისტრატორი ქალი გაჩნდა. იგი, ასე, სამოცი წლისა თუ იქნებოდა. ადმინისტრატორმა გულწასული ქალი ნიშადურის სპირტით მოასულიერა და მალე გონს მოსული ქალი ქობულეთელმა მამაკაცმა სასტუმროდან გააცილა.

არჩილი მის ნომერში უნდა შესულიყო, რომ უეცრად მის წინ ტანმაღალი ქალი აღიმართა. თვალებს აქეთ-იქეთ აცეცებდა, თითქოს ვიღაცას ემალებოდა, ის ტყუპისცალივით ჩამოჰგავდა გიზოსთან სტუმრად მოსულ ქალბატონს. უცნობმა ქალმა არჩილს ტელეფონზე დარეკვა სთხოვა, არჩილმა შესვლა ხელით ანიშნა. ქალი ოთახში შურდულივით შევარდა, თითქოს ვიღაც მოსდევსო, ტელეფონის ყურმილი სწრაფად აიღო, სამციფრა ნომერი აკრიფა, ეტყობოდა, იქვე სასტუმროში ვიღაცას ურეკავდა. არჩილმა ქალს სკამი მიუჩოჩა და ხელით ანიშნა, დამჯდარიყო, თვითონ კი სავარძელში მოკალათდა. ქალს ტელეფონზე არავინ პასუხობდა. არჩილს სთხოვა, თუ შეიძლებოდა ცოტა დაეცადა და ისევ დაერეკა. არჩილი უყოყმანოდ დათანხმდა და ტელევიზორის ყურება განაგრძო. ქალმა ბოდიში მოუხადა შეწუხებისათვის და განუმარტა: მეექვსე სართულზე ერთ-ერთ ნომერში მის დაქალთან ერთად იყვნენ სტუმრად ნაცნობ მამაკაცთან. მათ სასტუმროში მცხოვრები მამაკაცი შეუერთდა, რომელმაც მისი ქურქი თავის ოთახში წაიღო იმ მიზნით, რომ ეს ქალი მასთან ნომერში შესულიყო. ქალი არ აპირებდა მასთან ჩასვლას, რადგან ის მამაკაცი ძალზედ უხეში და თანაც მთვრალი იყო. არჩილს საქმე მაინც არ ჰქონდა და არც ძილი ეკარებოდა, აბა რას დაიძინებდა ცხრამეტი წლის ჯელი, მისი მეგობარი ქალთან ნებივრობდა, მასთან კი არანაკლები მწყერი შემოფრინდა. ქალმა კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსინჯა, დარეკვა, მაგრამ მეორე მხარეს არავინ პასუხობდა. გაბრაზებულმა რუსულად წარმოთქვა: „პადავის ტი ეტაი შუბოი!“, შემდეგ არჩილს შეეკითხა, შეიძლება საბაზანოში შევიდე? არჩილი პროვინციელი ახალგაზრდა იყო და ასეთ სიტუაციებში ვერ ერკვეოდა. ნება დართო. მალე შხაპის ხმა გაისმა, რომელიც მალევე შეწყდა და გალინა, ასე ერქვა მოულოდნელ სტუმარს, შიშველი გამოვიდა და ლოგინში შეწვა. გაოგნებულმა არჩილმა მას თვალები აარიდა და კედლისკენ შებრუნდა. გალინამ უთხრა: „იმ მთვრალთან არ წავალ. შენ კი, გეტყობა, კარგი ადამიანი ჩანხარ და გარეთ არ გამაგდებ.“ არჩილი თავს არ უჯერებდა, რომ განგებამ მას ქალი ლარნაკით მიართვა. სურდა გიზოსთვის დაერეკა და დაეტრაბახა, მაგრამ თავი შეიკავა. ქალს რომ მისთვის სიახლოვეზე უარი ეთქვა, მერე სირცხვილით სად წასულიყო. გალინამ და არჩილმა ბევრი ისაუბრეს, არჩილი დასაძინებლად სავარძელში მოკალათდა. გალინამ კი... ჰკითხა, ჩემთან რატომ არ მოდიხარ, არ მოგწონვარო? არჩილმა სინათლე გამორთო და მასთან შეწვა. როდესაც გალინა მის გაბანჯგლულ გულმკერდს შეეხო, გაგიუდა, მსგავსი არაფერი მინახავსო, კაცს დაუწვები და გგონია ქალთან წევხარო. აი მესმის, შენ ნამდვილი მამაკაცი ხარ, მაიმუნს არაფრით ჩამორჩები, მაგრამ ჩემში ქალი გააღვიძე... ქალმა კვნესა დაიწყო, მერე მოუმატა ისე, რომ კივილი ტირილში გადადიოდა, არჩილს ზურგი სტკიოდა და როდესაც „ორთაბრძოლა“ დამთავრდა, მიხვდა, რომ ზურგი დაკაწრული ჰქონდა, მაგრამ რას იზამდა . . „ვარდი უეკლოდ არავის დაუკრეფია“ გაიფიქრა არჩილმა. გალინა ძალზედ სექსუალური, ვნებიანი აღმოჩნდა, მალე მან არჩილი მორიგი შეტევისთვის ისევ განაწყო და მისთვის ისიც „შედეგიანად” დასრულდა. ღამის ორ საათი იქნებოდა, ტელეფონმა რომ დარეკა.

გიზო რეკავდა, კარგ ხასიათზე იყო და მეგობარი ანუგეშა: ცოტაც გაუძელი და შენც გეშველება რამეო. არჩილმა არაფერი უპასუხა, ყურმილი გალინას გადასცა და ყურში წასჩურჩულა: ვითომ მორიგე ადმინისტრატორი ქალი ხარ, ისე უპასუხე ჩემს მეგობარსო. გალინამ დავალება შეასრულა. მერე ტელეფონის ყურმილი არჩილს გადასცა, გიზო კი აშაყირებდა, ვერ გაძელი ერთი დღეც? ბებერი რომ ჩაიგორე ლოგინში, არ გრცხვენია? მათი სატელეფონო საუბარი ამით დამთავრდა. იქეთ მხარეს გიზო იცინოდა, აქეთ კი არჩილი ზეიმობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილით კარებზე ბრახუნის ხმა გაისმა, არჩილი ადგა, გარედან გიზოს გინება ისმოდა, შემოვარდა ნომერში, თითქოს ვიღაცამ მდუღარე წყალი გადაასხა. როცა ლოგინში ქალი დაინახა, მივიდა და საბანი გადახადა. იქ დედიშობილა გალინა იწვა. გიზომ გაოგნებულმა იკითხა, ვინ არის ეგ ჩე-სა? თითქოს ქალმა გაიგო გიზოს ნათქვამი და მიუგო, რა, არ მოგეწონე? არაგიშავსო და საბანი გადააფარა. მერე არჩილს ჰკითხა: რად გამიჩალიჩე ეს ამბავი. თურმე გიზო მისულა სართულის ადმინისტრატორ ქალთან თავისი ქალბატონით და მას მოფერებია, მიუმართავს, რძალო, როგორ ხარო? ადმინისტრა-ტორ ქალს გიზო გაულანძღავს და სტუმარი ქალის დატოვებისთვის დაპირდა, რომ მას სასტუმროდან გაასახლებდა. გიზოს მის შესაბმელად დიდი დავიდარაბა დასჭირდა, აუხსნა, რომ ის მისი საცოლე იყო. მისი მორიგეობის დროს გიზოს სტუმარი ქალი არ მიუდია.

არჩილს ის უცნობი ქალი თითქმის ყოველდღე ურეკავდა, ხან სად უნიშნავდა პაემანს და ხან სად. მაგრამ შეხვედრა ვერ მოხერხდა. მეგობრები თბილისში ჩაფრინდნენ. იქ გიზოს ძმები: ომარი, მალხაზი და მათი მეზობელი ბიძინა დახვდნენ.

სახლში მისვლისას მეგობრებმა მათ საჩუქრები გადასცეს. არჩილი ომართან საუბრით იყო გართული, გიზო კი მალხაზსა და ბიძინას რიგის თავგადასავლებს უყვებოდა. უცებ არჩილმა ნაცნობ ფრაზებს მოჰკრა ყური, – თუ როგორ დარბოდა პაემნებზე და როდესაც ჩაუღრმავდა გიზოს პაემნების შესახებ დეტალურად მოყოლილ ამბებს, მიხვდა, რომ ის უცნობი ქალი, რომელიც ურეკავდა, გიზო ყოფილა. თურმე იგი ტელეფონის ყურმილზე შარფს აფარებდა და ისე ურეკავდა, ყველას სიცილი აუტყდა. მაშინ არჩილმა უცნობი ქალის ისტორია მოუყვა. სიცილს სიცილი დაემატა. ბიჭებმა სახელდახელო სუფრა გაშალეს და მეგობრების მშვიდობიანი დაბრუნება დალოცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრების სტუმრობა

არჩილს და გიზოს თანაკურსელი, სამტრედიელი ლეო დაუმეგობრდა, ისიც ფეხბურთს თამაშობდა. ის მაღალი, ათლეტური აღნაგობისა გახლდათ. რუსული საერთოდ არ იცოდა. ძალიან მორიდებული პიროვნება იყო, თითქმის არავისთან საუბარში არ ჩაერეოდა. თუ რაიმეს შეეკითხებოდი, პასუხს იმ შემთხვევაში გაგცემდა. მეგობრული ტანდემის რუსეთში ვოიაჟების ამბავიც იცოდა. მეგობრებს სთხოვა, მოსკოვში ერთხელ მეც წამიყვანეთ და ხელს არ შეგიშლითო.

მეგობრებმა მეორე კურსის ზამთრის სესია ჩააბარეს და გეზი მოსკოვისკენ აიღეს. ორი საათის შემდეგ თვითმფრინავის სალონში ისხდნენ. გიზოს ადგილი წინ ჰქონდა, ხოლო არჩილი და ლეო მის უკან ისხდნენ. მათ გვერდით მშვენიერი მანდილოსანი იჯდა, რომელმაც თავისი ლამაზი გარეგნობით მეგობრების ყურადღება მიიპყრო. ლეომ და არჩილმა ჭადრაკის თამაში წამოიწყეს. როდესაც თვითფრინავმა გეზი მოსკოვისკენ აიღო, კავკასიონის ქედს რყევებით გადაუფრინა. თვითმფრინავის რყევების შესახებ არჩილმა იცოდა და ლეოც წინასწარ გააფრთხილა, რომ არ შეშინებოდა. მალე რყევებმაც იკლო. არჩილმა ლეო საპირფარეშოში წაიყვანა, მართალია, არცერთს არ უნდოდა, მაგრამ არჩილმა გადაწყვიტა, ცოტა ლეოზე „ეღადავა“. ის საპირფარეშოში შეუშვა, ლეო მალე გამოვიდა. არჩილმა მას ხელის დაბანა დააძალა, ლეომ გაბრაზებულმა უთხრა: არაფერი მიქნია და რად დავიბანოო. არჩილმა კი მიუგო, ხელით ხომ შეეხე საპირფარეშოს კარებს, ესეც საკმარისია, რომ მიკრობები აიკიდოო. რა ექნა „გამოჭერილ” ლეოს. ონკანი მოუშვა, მაგრამ წყალი არ წამოვიდა, არჩილმა დასძინა, – მაგას მოფერება უნდაო და ონკანს ზემოდან ხელი გადაუსვა. წყალიც წამოვიდა. ახლა ლეომ სცადა, თუმცა მის მოფერებულზე წყალი არ წამოდინდა. ონკანს ჯაჯგური დაუწყო, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა. არჩილის მოფერებაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალი მოდიოდა, მისაზე კი არა. ცოტა ხანს ლეო ასე ეწვალა, მერე მიხვდა, რომ მეგობრის ხრიკი იყო და თავის ადგილს დაუბრუნდა. თვითფრინავში წყლის ჩასართავად საჭიროა პედალს ფეხი დააჭირო. ეს პირველად არჩილს გიზომ „აჭამა“, არჩილმა კი ლეო გაათამაშა.

თვითმფრინავში არჩილმა სვეტა გაიცნო. მათ შორის საინტერესო საუბარი წარიმართა. ლეო მათ საუბარს უსმენდა, მაგრამ ვერაფერს ხვდებოდა.

თვითმფრინავი მოსკოვში დროზე ჩაფრინდა. მეგობრები სვეტლანას ჩემოდნის გადატანაში დაეხმარნენ. გიზოს ნაცნობი ქალი დახვდა. ბიჭები ერთად შეიკრიბნენ, რათა სასტუმროს ამბავი გადაეწყვიტათ. სვეტლანამ არჩილს და ლეოს მასთან წასვლა შესთავაზა. მეგობრებსაც ჭკუაში დაუჯდათ, გიზომ არჩილს მოუწონა, ჩემი სკოლა დაგეტყო, კარგი ქალი „მოგიხსნიაო“. ტელეფონები და მისამართები გაცვალეს და ერთმანეთს დაშორდნენ.

სვეტლანა ოროთახიან ბინაში ცხოვრობდა. მისვლისთანავე სადღაც დარეკა და მისი ჩამოსვლა აუწყა, შემდეგ სუფრის გაშლას შეუდგა, მას მეგობრებიც დაეხმარნენ. მალე სამივე სუფრას მიუსხდა. არჩილი და სვეტლანა საუბრობდნენ. ლეოს ეტყობოდა, რომ მათი ლაპარაკით დაიღალა, თან მასზე მგზავრობამაც იმოქმედა. არჩილს უთხრა,რომ დასვენება სურდა. საძინებელ ოთახში ლოგინი გაუშალეს და ლეოც დასაძინებლად წავიდა. მარტო დარჩენილმა წყვილმა საუბარი განაგრძო. ყავა რომ დალიეს, ქალმა არჩილს დასვენება შესთავაზა და იქვე ოთახში ტახტზე ლოგინი დაუგო. არჩილი კმაყოფილი იყო, რომ ასეთი ქალი დაითრია, თუმცა სვეტლანას მისთვის არავითარი საბაბი არ მიუცია, არჩილიც ლოგინში იმ მოლოდინით შეწვა, რომ მალე სვეტლანა გვერდზე მიუწვებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ქალი შხაპის მისაღებად შევიდა აბაზანაში. ცოტა ხანში მეორე ოთახიდან, სადაც ლეო იწვა, ქალის კივილის ხმა მოისმა. არჩილი სახტად დარჩა, გაიფიქრა ლეომ ძალა ხომ არ იხმარა ქალზეო. სწრაფად წამოდგა, საძინებლის კარი შეაღო,სადაც ლეო იწვა და რას ხედავს,ის სვეტლანას ზემოდან „აჭენებდა“ არჩილის დანახვაზე ლეომ მიაძახა – ბოდიში

ეროვნული ბიბლიოთეკა

არრჩილლ, შე ვირიშვილო. ჩემზე არ გა-ო, მიუგო გაბრაზებულ-მა არჩილმა და "მომუშავე" წყვილს კარები მიუჯახუნა. რა უნდა ექნა არჩილს, მიხვდა, რომ სვეტლანას ისინი სახლში ლეოს ხათრით წაუყვანია.

გათენდა. უძინარი ღამის შემდეგ, გამთენიისას ჩასძინებია. როცა ადგა, სვეტლანა და ლეო ყავას მიირთმევდნენ და რუსულად ლაპარაკობდნენ. ეტყობა, ლეომ რუსული ლოგინში ისწავლა, – გაიფიქრა არჩილმა. როდესაც არჩილი მათ შეუერთდა, სვეტლანას ჰკითხა, ლეოს ძალა ხომ არ გამოუყენებია. ქალს სიცილი აუტყდა, ლეოს შენში ავერიე. ჩემი რუსული ვერ გაიგო და მუჯლუგუნი მითავაზა, არ ველოდი და შევკივლეო. ამ სიტყვებზე ლეოს მოეფერა. ლეოს ბედნიერი სახე ჰქონდა, არჩილს ეს ძალზედ ახარებდა. ლეოსთვის მიღებული სიამოვნების მიზეზი თვითონ იყო. მერე ლეოს უთხრა: აწი, ძმაო, შენთან ერთად არსად წავალ, ისწავლე რუსული და იარე ამ რუსეთშიო.

მესამე დღეს გიზომ ბიჭებს მიაკითხა და როდესაც მათი ამბავი გაიგო, სიცილით კინაღამ მოკვდა, მერე არჩილს მიუბრუნდა და უთხრა: ლეო სვეტლანას დავუტოვოთ საჩუქრად და ჩვენ სასტუმროში გადავიდეთ საცხოვრებლადო.

ერთი კვირის შემდეგ ლეო მოიკითხეს. ლეომ გიზოს ტელეფონში წუწუნით შესჩივლა, მოსკოვის დასათვალიერებლად ჩამომიყვანეთ თუ ამ ქალთან დასამუავებლადო.

ლეოს მალე მეგობრებმა მიაკითხეს და ქალაქში გაიყვანეს. ერთად სურათები გადაიღეს, რესტორანშიც წაიყვანეს და საღამოს სვეტლანას ჩააბარეს. ორი კვირის შემდეგ მეგობრები თბილისში დაბრუნდნენ.

მოულოდნელი შეხვედრა

გიზო და არჩილი ნოემბრის დასაწყისში კიევში ჩაფრინდნენ. მათ ბორისპოლის აეროპორტში არჩილის უკრაინელი ძმადნაფიცი გრიგორი თავის მეგობართან - ოლეგთან ერთად დახვდა. გრიგორი არჩილის მამას, ნიკოლოზს ზაფხულში სოხუმიდან მომავალს გემზე გაეცნო, რომელმაც ის სახლში მიიპატიჟა და უფროს შვილად მიიღო. არჩილი მაშინ მეცხრე კლასის მოსწავლე იყო. გრიგორი ყოველ შვებულებას კავკასიაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ატარებდა და ერთი დღით ბათუმშიც შემოივლიდა ხოლმე. ერთხელ ბათუმში ოლეგთან ერთად შემოიარა. არჩილი მაშინ პირველი კურსის სტუდენტი იყო. მასთან იმ პერიოდში გიზოც სტუმრობდა. უკრაინელმა მეგობრებმა არჩილი და გიზო უკრაინაში მიიპატიჟეს. სტუმრები მეგობრებმა სასტუმრო „უკრაინის“ ოროთახიან ლუქსში მოაწყვეს. გრიგორი პოლიციის პოლკოვნიკი იყო. იგი კიევის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი გახლდათ, ხოლო ოლეგი პოლიციის კაპიტანი, რომელიც გამომძიებლად მუშაობდა. გრიგორი საქმეებით იყო გადატვირთული და არ ეცალა არჩილთან შესახვედრად. 6 ნოემბერს ოლეგი გამოჩნდა, რომელმაც ქართველი მეგობრები ოჯახში მიიპატიჟა. მანამდე ბათუმელი ბიჭები კიევს ათვალიერებდნენ და საღამოობით კი დროს რესტორნებში ატარებდნენ.

ერთხელ, როდესაც რესტორანში სადილობდნენ, მათგან მოშორებით ორი ქალი და ერთი მამაკაცი იჯდა. ერთ-ერთი მანდილოსანი არჩილს გამომწვევად უყურებდა. არჩილმა გაიფიქრა, მოვეწონეო ალბათ. მუსიკოსებთან მივიდა და სიმღერა შეუკვეთა. აუღერდა სიმღერა თბილისზე, არჩილი მივიდა იმ მანდილოსანთან და საცეკვაოდ გაიწვია. დაუწყო „დამუშავება“,დისთვის ლაბადა ვიყიდე, თქვენი სიმაღლის არის და მინდა მოიზომოთ, დასაბრუნებელი რომ არ დარჩესო. ქალის კითხვაზე „ლაბადა“ სად არის? – არჩილმა უპასუხა, რომ ის ნომერში ჰქონდა. ამასობაში მუსიკაც დამთავრდა და ქალბატონი თავის ადგილზე მიაცილა. როცა ქალი სუფრას მიუჯდა, თქვა, ამ ჯიგიტს ჩემი დათრევა უნდოდა და ნომერში მეპატიჟებოდაო. ამ სიტყვების გაგონებაზე არჩილი მიხვდა, რომ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. თავის მაგიდასთან უხასიათოდ დაბრუნდა. ეს გიზოს არ გამოპარვია. რაო, ძმაკაც, ჩაიჭერი? არჩილი არ დაბნეულა და მიუგო, მე რუსულად ვესაუბრე, ის კი თავის ენაზე ლაპარაკობდა, არც ინგლისურს ჰგავდა,არც ფრანგულს და არც გერმანულს. ვერაფერი გავაგებინეო. გიზოს ელფერი ეცვალა და უთხრა, წავიდეთ ჩქარა აქედან, არ მინდა საქმე სახელმწიფო უშიშროებასთან მქონდეს. უწინ თურმე უცხოელებთან კონტაქტისთვის გიზოს ერთ კვირაზე მეტს იბარებდნენ უშიშროებაში. სუფრა ახალი გაშლილი იყო, რომ მიატოვეს და არჩილის ნათესავის გამო მშიერნი დარჩნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუმცა მერე არჩილი სიმართლეში გამოუტყდა და ამის გამო გიზომ რესტორანში დაპატიჟებით დააჯარიმა.

კრეშჩატიკზე (კიევის მთავარი გამზირია) დიდი რესტორანი „მეტრო“ აირჩია. ჟღერდა მუსიკა. გიზომ კოქტეილი, ხილი და ყავა შეუკვეთა. კოქტეილი არჩილს არ დაალევინა. იმ შემთხვევაში დალევ, თუ იმ ქალბატონს ეცეკვები და ხელი გვერდით მაგიდისკენ მიუთითა, სადაც სუფრას ოთხი ახალგაზრდა მანდილოსანი მისხდომოდა. არჩილს მეტი რა გზა ჰქონდა, გიზოს სურვილს დაემორჩილა. მივიდა მანდილოსნებთან და ერთ-ერთი საცეკვაოდ მიიპატიჟა. როდესაც მანდილოსანმა წამოდგომა დაუპირა, არჩილი იმწამსვე მიხვდა, რომ ქალი მასზე მაღალი იქნებოდა და სასწრაფოდ ბოდიში მოუხადა. მე თქვენს გვერდით მჯდომი ამხანაგი მივიპატიჟეო და მისკენ გადაინაცვლა, ისე, რომ პირველს უყურებდა. არჩილი, რომ მოტრიალდა ვერაფერი დაინახა, ზემოთ აიხედა, მის წინ საკმაოდ მაღალი ქალი იდგა. თავი რაღაც რბილ ბურთებს მოარტყა. მიხვდა არჩილი, რომ გიზომ გააშაყირა. რა გაეწყობოდა, მოჰკიდა ხელი და საცეკვაოდ გაიწვია. ქალთა მაგიდა სიცილით სკდებოდა. მერე გიზოსკენ გაიხედა და ისიც ზეიმობდა.

როგორც ზემოთ ვთქვით, ოლეგმა არჩილი და გიზო სახლში 6 ნოემბრის საღამოს მიიპატიჟა. მეგობრებს კარი დიასახლისმა, ულამაზესმა ალამ გაუღო. ალამ ისინი ძველი ნაცნობებივით მიიღო. სუფრა გაშლილი იყო და ყველანი მიუსხდნენ. ალა მეგობრებს ყურადღებას არ აკლებდა, სულ მიირთვის რეჟიმში ჰყავდა ქართველი მეგობრები, ოლეგი არაყს სვამდა, ყველა ჭიქას ბოლომდე სცლიდა, მეგობრები კი სასმელს თავს არიდებდნენ. სუფრა დამთავრებისაკენ მიდიოდა, ოლეგი უკვე კარგა ნასვამი გახლდათ, ცოლის სიტყვებს აღარ უჯერებდა, რომ დალევა შეეწყვიტა. გიზო და არჩილი ადგნენ, გამომშვიდობება უნდოდათ, მაგრამ ოლეგი წინ აღუდგა, სად მიგეჩქარებათ? ბოზები გიცდიანო? რა მათზე ნაკლები ქალი მყავს? ოლეგი თავს ვერ აკონტროლებდა, ამ სიტყვებზე გიზომ მის წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმართულ ოლეგს ხელი ჰკრა ისე, რომ მან წაიბორძიკა, სკამს დაეჯახა და დაამტვრია. ალამ მეგობრებს აუხსნა, ზოგიერთი ამხანაგი, როდესაც გადათვრება ხოლმე, ხელებს უშნოდ მიფა-თურებსო. მეგობრებმა ალას ბოდიში მოუხადეს და წავიდნენ.

7 ნოემბრის დილა გათენდა. ეს თარიღი, წინათ, საბჭოთა კავშირის პერიოდში, ზარ-ზეიმით აღინიშნებოდა, ის რევოლუციის გამარჯების დღე იყო და მას ყველა ოჯახში აღნიშნავდნენ. მეგობრები კარებზე კაკუნმა გააღვიძა. არჩილმა კარები გააღო, მის წინ ალა იდგა ბავშვით, მის უკან კი თავჩაღუნული ოლეგი. ისინი ნომერში შევიდნენ, ოლეგმა ცუდი საქციელის გამო მეგობრებს ბოდიში მოუხადა, ხოლო ალამ დასძინა, თქვენ ოლეგის მშობლები – პიოტრ ალექსეევიჩი და ნელი ფილიმონოვნა გელოდებათ სადილზეო. გიზო ჯერ წინააღმდეგი იყო, მაგრამ მერე ალას მუდარამ გასჭრა. ოლეგმა კი უთხრა, ბიჭებო, ასეთი რამ მეტი არ გამეორდებაო. მოკლედ, მეგობრებმა თავი მოიწესრიგეს, ქვემოთ, სასტუმროს კაფეში ცოტათი ისაუზმეს და სამი საათისთვის რიბალკის ქუჩაზე მივიდნენ, ოლეგის მშობლები აქვე ახლოს ცხოვრობდნენ. გიზომ დათქმული ოთახის ღილაკს თითი დააჭირა. კარი სიმპათიურმა ქალმა გააღო, ის ოლეგის დედა - ნელი ფილიმონოვნა გახლდათ. გულთბილად მიესალმა ქართველ მეგობრებს და სახლში მიიპატიჟა. გიზომ ქალბატონს თაიგულები გადასცა. ბიჭებმა, როდესაც პალტოები გაიხადეს, დაინახეს, რომ შესასვლელში ლამპასებიანი შარვალი ეკიდა. არჩილმა გიზოს უთხრა, ნახე, ოლეგის მამა ალბათ რესტორანში შვეიცარად მუშაობსო. გიზოს გაეცინა, შე გოიმო, ეგ გენერლის შარვალიაო და ოთახში შევიდნენ. იქ მაღალი, ორმოცდაათ წელს გადაცილებული სიმპატიური მამაკაცი სავარძელში იჯდა. ის წამოდგა და თბილად მიესალმა მეგობრებს. იქვე ოლეგიც და ალაც იყვნენ თავისი ქალიშვილით. სანამ ქალები მაგიდას გააწყობდნენ, მანამდე პიოტრ ალექსეევიჩმა მეგობრები ნარდის თამაშით გაართო. საუბარში გაირკვა, რომ მას ჯარში საქართველოში უმსახურია, კარგად იცნობდა ქართველებს და მათ სტუმარ-მასპინძლობას. იგი ამჟამად, ქალაქ კიევის არასაუწყებო დაცვის უფროსი იყო. სუფრასთან პიოტრ ალექსეევიჩმა ითამადა. ოლეგის და გიზოს შორის ინციდენტი ალას მოეყოლა და ამის გამო ოლეგის მამამ, ქართველი მეგობრების მიპატიჟება გადაწყვიტა. მან ეს კაცურ საქციელად აღიქვა და სუფრასთან ოლეგს უთხრა: შენ ძმები არ გყავს, ჩემო შვილო, და ესენი დღეიდან შენი ძმები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებიან. ოლეგმა ისევ ბოდიში მოიხადა.

პიოტრ ალექსეევიჩიდან კიევში ყოფნისას მეგობრებს ყურადღება არ მოჰკლებიათ. ორი კვირის მანძილზე მათ ყოველდღეს თავის პერსონალურ მანქანას უგზავნიდა სამი-ოთხი საათით და მძღოლიც ქალაქში გიდობას უწევდა. წასვლის წინ კი მეგობრებს თითოს სამ-სამი კიევური ტორტი და სამ-სამი ბოთლი განთქმული უკრაინული „პერცოვკა“ მიართვა.

8 ნოემბერს გიზოს ნაცნობმა ქალმა მიაკითხა, არჩილს “ინსტრუქციის” თანახმად გასეირნება უწევდა. მან გადაწყვიტა კრეშჩატიკზე გაესეირნა. მთავარ ფოსტასთან, მოპირდაპირე მხარეს, სასტუმრო „მოსკოვი“ იყო განლაგებული. ფეხებმა არჩილი სასტუმროსთან თავისთავად მიიყვანა. შენობის წინ დადგა. მეოთხე სართულის აივანზე ქერათმიანი ქალი იდგა. არჩილმა ხელი დაუქნია. ქალმაც იგივეთი უპასუხა. შემდეგ არჩილმა ხელით ანიშნა, მანდ ამოვიდეო? ამოდიო, ანიშნა ქალმა და არჩილმაც სასტუმროს მიაშურა. გადათვლილ სართულზე ავიდა. ფოიეში მამაკაცები ფეხბურთს უყურებდნენ. გაახსენდა, რომ მოსკოვის „ტორპედო“ და ტაშკენტის „პახტაკორი“ საბჭოთა კავშირის თასის ფინალში თამაშობდნენ, მაგრამ მაგის თავი არ ჰქონდა. გადათვალა ნომრები და დააკაკუნა. კარი გაიღო. მის წინ ათლეტური აღნაგობის კაცი აღიმართა. მის უკან კი არჩილმა ის ქერათმიანი ქალი მოლანდა, რომელიც იღიმებოდა. არჩილი მიხვდა, რომ ქალმა გაათამაშა. ბოდიში მოიხადა, ალბათ, სართული შემეშალაო და ფოიესკენ წავიდა. იქ ერთი მამაკაცის პროფილმა მიიპყრო მისი ყურადღება. მიუახლოვდა მას და სასწაული, გიზოს ძმა, მალხაზი გახლდათ. კიევში საკუთარი ძმისა და არჩილის საძებრად ჩამოსულიყო. არჩილმა უამბო, თუ როგორ მოხვდა ამ სასტუმროში და ის ქალი ბიჭებმა ღმერთისგან მოვლენილ ანგელოზად მიიჩნიეს.

ორი კვირის შემდეგ მეგობრები თბილისში ჩაფრინდნენ. ინსტიტუტში ერთ-ერთი ლექციის დამთავრების შემდეგ არჩილი ორმა მისმა დაქალმა გაიყვანა სალაპარაკოდ. ბიჭო, ვინ გასწავლა ქალების წვალება, თან ასე დესპოტურად? – მიმართეს მას. არჩილი გაოგნებული დარჩა, არასოდეს ქალისთვის შეურაცყოფა არ მიუყენებია და მით უმეტეს, ძალა არ გამოუყენებია, იმას თუ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ ჩავთვლით, ბავშვობაში სკოლაში ნაწნავები თუ დაუქაჩია გოგონებისთვის სიცელქით. მანანასა და ნანას ისეთი სერიოზული სახეები ჰქონდათ, რომ არჩილი დაიბნა. მანანამ დაიწყო: ბიჭო, კიევის სასტუმროში, ქალს სამი საათი ჩულქს რომ ხდიდი, არ შეგეცოდა? რად უნდოდა ქალს ჩულქების გახდა, ვინ გასწავლა მაგი? ჩულქები კი არა, საცვალი უნდა გაგეხადაო. არჩილს გულზე მოეშვა, დაქალები კი სასადილოსკენ წავიდნენ. მიხვდა არჩილი, რომ გიზომ ჩაუშვა. სასტუმროში არჩილმა ახალგაცნობილი ლვოველი ქალი მიიყვანა. ძმებმა – გიზომ და მალხაზმა – „ინსტრუქციის“ თანახმად ოთახი დაცალეს. ორი საათის შემდეგ ბიჭებმა რომ დარეკეს, არჩილმა უპასუხა: ჯერ ერთი ჩულქი გავხადე და ყურმილი დადო. ქალს რომ მიუბრუნდა, მას ჩულქი უკვე აწეული ჰქონდა. ისევ შორიდან დაიწყო არჩილმა. საქმე მეორე ჩულქის ჩახდამდე რომ მივიდა, ტელეფონმა ისევ დარეკა. გიზო ურეკავდა, უკვე ორსერიან ინდურ ფილმს ვუყურეთ და მოვდივართო. არჩილმა მიუგო, ცოტაც მაცალეთ, რა დაგემართათო და ყურმილი დადო. ქალისკენ მიიხედა, ლვოველი ნაშა წასულიყო...

არჩილი ასე მოულოდნელად მოსკოვში თავის დეიდაშვილსაც შეხვდა. ბინაში სამი ქალი ელოდებოდა გასტრონომიდან სასმელებით გამოსულს. ზიგმუნდი გადაეყარა, გაიხარა არჩილმა, რა კარგ დროზე შემხვდიო და თან წაიყვანა. ქალებმაც გაიხარეს, თუმცა არჩილს საქმე გაუფუჭდა.

ზიგმუნდი ლამაზი მამაკაცი იყო. ქალებმა მას შებმა დაუწყეს. მაგრამ არჩილმა ხერხი იხმარა, შუქი ჩააქრო, სანთელი აანთო და გიტარა დაუკრა. დივანზე მჯდომი ზიგმუნდი აღარ ჩანდა, იგი მალე ქალებსაც გადაავიწყდათ. საღამო რომ დამთავრდა და დეიდაშვილები გარეთ გამოვიდნენ, ზიგმუნდის პალტოში ქალების ტელეფონის ნომრები იდო...

დაბრალებული საცოლე

მეორე კურსზე არჩილს ბევრი კარგი ამხანაგი ჰყავდა. ერთხელ თბილისელი მეგობრები ბათუმში მიიპატიჟა. თვითონ კი შინ ერთი დღით ადრე ჩავიდა, რათა სათანადოდ მომზადებულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილის მამა ღვინოს სახლში აყენებდა, ეზოში რამდენიმე ქათამიც ჰყავდა და საახალწლოდ ღორსაც ჰკლავდა. ძალზედ პურმარილიანი კაცი გახლდათ. მასთან მისვლა ყველას უხაროდა. ბევრჯერ გვიან ღამითაც მოსულან სტუმრები და მასაც თავი არასოდეს შეურცხვენია.

დილას არჩილი მატარებელს დახვდა. გიორგის და ვაჟას ბათუმელი რამაზი და მისი საყვარელი ნანკაც ჩამოჰყოლოდა. ის საშუალო ტანის, შაგვრემანი, ეშხიანი გოგონა იყო. რამაზი გიტარაზე კარგად უკრავდა. ის და არჩილი ერთ კლასში სწავლობდნენ და ბატონ გურამთან გიტარის დაკვრასაც ერთად ეუფლებოდნენ. არჩილმა ჩამოსული სტუმრები აჭარულ ხაჭაპურებზე მიიპატიჟა, შემდეგ ამხანაგებმა ზღვისპირა პარკში გაისეირნეს. ქალაქის ცენტრში არჩილს თანაკლასელები რეზო, ბადრი და ვაჟა შეხვდნენ. ამხანაგები ერთმანეთს გადაეხვივნენ და არჩილის სახლისკენ გასწიეს. ამასობაში სადილის დროც მოსულიყო. სუფრა ბიჭებს გაშლილი დახვდათ. არჩილის მშობლებს ორსართულიანი სახლი ჰქონდათ. სუფრა პირველ სართულზე იყო გაშლილი. მშობლებმა შვილის ამხანაგები სახლში მიიპატიჟეს და ისინიც მაგიდას მიუსხდნენ. აქ რამაზმა ხუმრობით, მაგრამ სერიოზული სახით, არჩილის მშობლებს ნანკა არჩილის საცოლედ წარუდგინა. ზოგმა შეუმჩნევლად ჩუმად დაიწყო სიცილი. არჩილი და ნანკა ერთად დასხეს, რამაზი კი ნანკას გვერდით მოკალათდა. არჩილს ეუხერხულა, რამაზზე დაიბოღმა, მოკლედ, არჩილს რამაზმა მიკროქორწილი გაუჩალიჩა. პურმარილი ანეკდოტად გადაიქცა. მალე ნიკოლოზმა შვილის და სარძლოს სადღეგრძელო შესვა, შესვეს დანარჩენებმაც, მხოლოდ იუმორით. მოკლედ, სუფრას სიხალისე არ აკლდა. შუა პურმარილის დროს შეზარხოშებულმა რამაზმა ნანკას ბაყვებზე ხელი დაადო. ეს „საქმრომ“ დაინახა თუ არა, ნანკას ხელი მოჰკიდა, ააყენა და უთხრა, ზემოთ ბებიაჩემი წევს, უნდა გაგაცნოო და „საცოლე“ სუფრიდან გაიყვანა. ნანკა, რასაკვირველია, დაბრალებულ საქმროს დათანხმდა. არჩილმა ნანკა მეორე სართულზე აიყვანა, თავის საძინებელ ოთახში შეიყვანა, რომლის ქვემოთაც სუფრა იყო გაშლილი. კარები ჩაკეტა და „დედოფალს“ მიუბრუნდა: რა ეკუთვნის ამის მერე შენ რამაზს, პურმარილი რომ წამიბილწა? უნდა დამიწვე, ნანკა! ამას არ გაკადრებდი, მაგრამ მაგის საშაყიროდ თავს არ გავიხდი. არც ისეთ კაცს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკუთვნის ქალი, მის გვერდით ყოფნა რომ რცხვენიაო, უპასუხა ნანკამ და ტანზე გაიხადა. როცა ლოგინში შეწვა, – სანამ არჩილი „განაჩენის“ გამოსატანად იძრობდა, ნანკამ სევდანარევი ხუმრობით გააგრძელა, ეს ჩემი „ქორწილი“ არასდროს დამავიწყდებაო და არჩილი გულში ჩაიკრა. ნანკა ალერსიანი ქალი გამოდგა. როცა „ნეფემ და დედოფალმა“ საქორწილო სავალდებულო რიტუალი პირნათლად შეასრულეს, არჩილი ადგა, ტანზე ჩაიცვა, შენ აქ დარჩი, მალე დავბრუნდებიო, – უთხრა და ქალს ლოყაზე აკოცა. სუფრას რომ დაუბრუნდა,ბიჭები სიცილისგან იგუდებოდნენ, რამაზს სახე აწითლებოდა, თურმე ხმაური ესმოდათ, როგორ ბრახუნებდა ლოგინი ზემოთ. არჩილის დანახვაზე რამაზმა დაბოღმილმა მიმართა: ეს რა მაკადრე! ქალი თავზე და..., კადრება შენსკენ მოიკითხე, – მიუგო არჩილმა, შენი საშაყირია, ბიჭო, ჩემი მშობლები? შემდეგ მათ საუბარში რეზო ჩაერთო. რას იზამ, რამაზ, ის ქალი ამ კაცს ძალით „შეტენე“ და რაღას ერჩი? მერე ბრძნული ნათქვამიც დააყოლა, – „ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო“.

სარდიონი

არჩილს, თბილისში, ვერაზე, ოთახი ჰქონდა დაქირავებული მის ამხანაგ სართიჭალელ სარდიონთან ერთად. ის ქუთაისის „ტორპედომ“ იმ ხანს მეკარედ აიყვანა. რუსული არ იცოდა. არჩილმა ქართული ანბანით ქართულ-რუსული სასაუბრო შეადგენინა, რაც ძირითადად ქალებთან გასაცნობი ფლირტიდან შედგებოდა. ჰოდა, ერთხელ სარდიონი მოჰყვა ამ ბლოკნოტზე. ის მაღალი გახლდათ, ჩამოსხმული აღნაგობის ტანი ჰქონდა. მექსიკელს უფრო წააგავდა, ვიდრე ქართველს. გიზოს და არჩილს წაეტრაბახა, ამ შპარგალკით კიევში „ნაშა მოვხსენიო“. გიზოს ამაზე გაეცინა, – შე ვირო, შენა! შენ რაის მომხსნელი იყავი, თვითონ დაგითრევდენ სასტუმროს ნაშები. სარდიონს გაეცინა და განაგრძო, როგორც იქნა ბლოკნოტით ვისარგებლე და რესტორანში ქალი დავპატიჟე, მადა გამიფუჭდა, ისე თოხლაობდა, მერე ბლოკნოტში ამოვიკითხე, იქ კინოში დაპატიჟება ეწერა, ქალს კი გაუკვირდა, მაგრამ დამთანხმდაო. კინოში შევედით და მეც გავჩერდიო, არჩილი ჩაეკითხა, – რატომ გაჩერდი, სარდიონ? – რა და,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინათლე ჩაქრა და მეც დამერხა, ბლოკნოტიდან ვერაფერი ამოვიკითხე. ვაი შენ დღეს, სარდო, – წამოიძახა გიზომ. – კახელის არაფერი გცხია! მერე სარდიონმა განაგრძო: ეტყობა, ის ქალიც მიხვდა, რომ ბლოკნოტს შპარგალკად ვხმარობდიო და გასაკეთებელი თვითონ გააკეთა...

მიხო

სარდიონი ბათუმის დინამოში სათამაშოდ რომ გადავიდა, არჩილს ბინაში სახლის მესაკუთრემ თვისი ნაცნობი მოხელე ახალგაზრდა კაცი შეუსახლა. ერთხელ მიხომ, ასე ერქვა მოხელეს, ორი ქალი მოიყვანა ბინაზე და არჩილს სთხოვა, მისთვის მხარი აება. ამოიტანეს მონადირის ძეხვი, მდოგვი, მჟავეული, ყველი, კიტრი, პომიდორი და არაყი. მაგიდა ლოგინებს შორის გაშალეს...

დილას მიხომ თავის ქალს „შეუტია“, არჩილი კი მისმა პარტნიორმა გააღვიძა. გამოღვიძებული გონს რომ მოეგო, მიხოს ჭიხვინზე უნებლიეთ სიცილი აუტყდა. ქალი კი ეფერებოდა, სთხოვდა, რამე იღონეო. მეზობლის „სიყვარულმა“, ეტყობა, მასში ვნებათა ღელვა დაანთო. აბა სიცილშეპყრობილი კაცი სიყვარულისთვის როგორ განეწყობოდა, რა ექნა, არ იცოდა. უცებ არჩილს რაღაც აზრად მოუვიდა, მაგიდიდან ძეხვის ნაჭერი შეუმჩნევლად აიღო და მას „ინსტრუმენტის“ მაგივრობა გააწევინა. პარტნიორი ქალი ვნებათა მორევში გადაეშვა და აკვნესდა. მიხომ თავისი საქმე მოათავა, ფანჯრისკენ გაიხედა და წამოიძახა - ეე, გაწვიმებულაო.. არჩილს ერთი სული ჰქონდა, როდის მოათავებდა ალერსს პარტნიორი, არ დაელოდა და ადგა, რომ ფანჯარაში გაეხედა, ძეხვის ნაჭერი კი ქალს შეატოვა. ქალმა ფეხზე ამდგარი არჩილი რომ დაინახა, ისტერიკული კივილი მორთო. არჩილი მასთან მივარდა და დაშოშმინება დაუწყო, ისე რომ, მეორე წყვილს არაფერი გაუგია, თუმცა ქალის ამ მოქმედებით გაოგნებულები იყვნენ. ძეხვი ქალმა მაგიდაზე შეუმჩნევლად დააბრუნა...

ყოველივე რომ ჩაწყნარდა, მიხომ არჩილს უთხრა, ბიჭო, შენ ჩემზე უმცროსი ხარ, არ გეწყინოს და პური ამოიტანეო. ამ წვიმაში რა ჩამიყვანსო, – მიუგო არჩილმა. უარის გაგონებაზე მიხომ სტაცა ხელი ძეხვის ნაჭერს, აპკი შემოახია, შუაზე გატეხა და თავის ქალს მიაწოდა. ორთავემ ჭამა დაიწყო ისე, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილმა ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო. არჩილის ქალს ისტერიული სიცილი აუტყდა. სიცილისაგან თავი არჩილმაც ვერ შეიკავა. მიხოსთვის და მისი ქალისთვის კი გაუგებარი იყო ყოველივე და მათ ახლა მათზე აუტყდათ სიცილი.

ამ ისტორიის გახსენებაზე არჩილს დღესაც უზომოდ ეცინება.

გ ი ვ ი

არჩილს მეგობარმა გივიმ ერთი საზაფხულო თავგადასავალი უამბო. ის თავის სოფლიდან - მამათიდან ახალი ჩამოსული ყოფილა ბათუმში. ზღვაზე გასულა საბანაოდ. მზეს რომ ეფიცხებოდა, ქალი შეუნიშნავს, საცურაო კოსტუმითა და კარტით ხელში, რომელიც მამაკაცებს საეჭვოდ, დაუინებით ათვალიერებდა. აბა გურული რის გურულია, სხარტად და წამიერად რომ არ გაიაზროს და ასეთ ვითარებაში ვერ გაერკვეს. თავში ერთმა ეშმაკურმა აზრმა გაუელვა... დაინახა თუ არა ქალმა გულაღმა წამოწოლილი გივი, მასთან მივიდა და კარტის თამაში შესთავაზა. ისიც თავაზიანად დათანხმდა. „დურაკა “ ითამაშეს. გივიმ მოიგო. წაგებულს მოგებული რესტორანში უნდა წაეყვანა. რესტორნის შემდეგ ქალი მზად იყო „დასალაშქრავად “. ყველაფრის შემდეგ ქალს ტირილი აუტყდა. თურმე გივისგან რაღაც „არაჩვეულებრივს“ ელოდა, მაგრამ პარტნიორმა იმედები გაუცრუა. გივი თურმე ქალის „მზაკვრულ“ განზრახვას მიუხვდა და საცურაო კოსტუმში გრძელი ქვა ჩაუდვია... ამგვარად ქალიც „წამოაგო“ და თავი რესტორანშიც დააპატიჟებინა.

ბადრის სტუმარი მოსკოვიდან

ბადრის არჩილთან ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. იგი ერთ-ერთი საწარმოს დირექტორი იყო. ღმერთმა აცხონოს მისი სული, კარგი, მართალი კაცი ყოფილა, არაკაცებს და არაკაცურს ვერ ეგუებოდა. იყო პურმარილიანი და, როგორც ეს ჩვეულებრივ კავკასიელ მამაკაცებს სჩვევიათ, ქალებიც უყვარდა. ამაში გასაკვირი არაფერი არ გახლდათ. ამის გამო ცოლთან ხშირად კამათი უხდებოდა. ერთხელ მისმა ცოლმა დაიწუწუნა: ამდენ ბოზს რომ დაათრევთ რესტორნებში, რა მოხდება, რომ თქვენთან ერთად კაფეში მეც წამოვიდეო და ბადრი, არჩილი და ედიშერი თავად დაპატიჟა. როდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც ოთხ კოკქტეილში და ცოტა ხილში ორმოცდაათი მანეთი გადაიხადა, გაცხარდა და ბადრის უთხრა, ამდენი ფულის გადახდის მერე ქალმა "მომსახურებაზე" უარი რომ გითხრას, ხომ უნდა მოჰკლა ის კახპაო. ბადრიმ ხუმრობით წამოიძახა, ვითომ რა, ფული რომ გადაიხადე, რას მიპირებო? და ყველას სიცილი აუტყდა... იცინეთ, იცინეთ, ორმაგ წაგებაში რომ ხართ, რაზედ ვერ ხვდებით მამაკაცები, ფული ფულად გეხარჯებათ და ფიზიკურადაც იხარჯებითო, ქალი კი პირიქით მოგებულია. ამიტომაა ქალი ეშმაკი, – „დაუყვავა“ მარგომ მომდიმარ მამაკაცებს. – მარგოს ნათქვამზე ერთი ანეგდოტი გამახსენდა, კაცებს თურმე ქალებისთვის უჩივლიათ სასამართლოში, ქალებმა ყველაფერი წაგვართვესო. მანქანა, შარვალი, სიგარეტი და ბევრი პრივილეგიაო. ქალებმა ამას ასე უპასუხეს: ვაი თქვენ, დღეს „მაგიც“ ჩვენია, მაგრამ თქვენ გათრევიებთო...

ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ბადრიმ არჩილს სამსახურში დაურეკა, სასწრაფოდ მჭირდებიო და არჩილიც მალე მასთან კაბინეტში იჯდა. ბიჭო, მიშველე რამე, სტუმარი მყავს მოსკოვიდან – დედაშვილი. მთხოვეს, პატარა ექსკურსია ჩამეტარებინა მათთვის, მე საოლქო კომიტეტში მიბარებენ, ჰოდა, ქენი სიკეთე, ედიშერი წაიყვანე თავისი მანქანით, მას მართვის უფლება ჯერ არ აუღია და შენ დაჯექი საჭესთანო. ამ დროს მდივანმა გოგონამ ბადრის სტუმრის მოსვლა აუწყა. ბადრი წამოდგა. კაბინეტში საშუალო ტანის, ასე ოცდათხუთმეტი წლის შავგრემანი, ძალზედ მიმზიდველი ქალი შემოვიდა ბავშვით. ბიჭი რვა-ცხრა წლისა იყო. მიხვდა არჩილი, რომ ეს ის სტუმარი იქნებოდა.

ბადრიმ არჩილი სტუმარს წარუდგინა, ეს ის კაცია, ვისაც ვანდობ ქალებსო. ქალს გაეღიმა, ის გაზეთ "Труд"-ის ერთ-ერთი რედაქტორის მეუღლე გახლდათ, მას ალა ერქვა, ბავშვს კი ანდრეი, ის შავგრემანი იყო. როდესაც ახლოს გაეცნო, არჩილმა მას ადრიანო ჩელენტანო შეარქვა. მალე ედიშერიც ამოვიდა და ეკიპაჟი მზად იყო ექსკურსიისთვის. მათ ედიშერის სოფლიდან ჩამოსული მეათეკლასელი დათო დაემატა, ედიშერი და დათო უკან დასხდნენ. არჩილის გვერდით ალამ ბავშვით მოიკალათა. ბოტანიკური ბაღის დათვალიერების შემდეგ ისინი ქობულეთში გავიდნენ, სანაპიროზე რესტორან „კურძალში“ ისადილეს. ბადრის დავალებით სტუმრებს ედიშერი მასპინძლობდა, არჩილის გარდა შამპანური, ყველამ შესვა – ორი ბოთლი დაცალეს. ალა ადგილობრივი ბუნებით აღფრთოვანებული იყო. არჩილი თავისთვის იჯდა და ბავშვთან საუბრობდა, ედიშერს კი საღერღელი აეშალა და ალას აშკარად თავს აწონებდა. ედიშერი სიმპატიური ახალგაზრდა კაცი იყო, მარტო სხვას რომ თავი დავანებოთ, სამსახურში ორი „მანდილოსანი“ ჰყავდა. მოკლედ, შეზარხოშებულმა ედიშერმა მძღოლს "უბრძანა": ახლა ალას ფოთი ვანახოთო, ეს კი გეგმებში არ შედიოდა, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გაეწყობოდა, არჩილი უყოყმანოდ დათანხმდა და ბათუმში მალე რომ ჩამოსულიყვნენ, გზაზე გადაჭარბებული სიჩქარით იარა. ფოთის პორტის ტერიტორიაზე მანქანა კუს სვლით წაიყვანა, რათა ალას მანქანიდან ჩამოუსვლელად დაეთვალიერებინა იქაურობა. ამ დროს კი მანქანის წინა ნაწილი, სადაც ალა ბავშვით იჯდა, ჩავარდა. ქალმა შეჰკივლა, არჩილმა ხელი თავზე მოფერებით გადაუსვა და მის დაწყნარებას შეეცადა, შემდეგ ედიშერს მიუტრიალდა, რამდენჯერ გითხარი, მანქანას ქვემოდან მოხელეს შეამოწმებიე, ხომ გითხარი, ნაკანეჩნიკია გამოსაცვლელიო. მანქანას წინა მარჯვენა ბორბალი ჩამოუვარდა. არჩილი ისევ ალას მიუტრიალდა და უთხრა, მალე მოვალ, ყველაფერი კარგად იქნება. გაუღიმა და წავიდა. იქვე წითელი ჟიგულის პატრონთან მივიდა, რომლის თვალწინ მოხდა ეს ამბავი. არჩილმა იგი სადღაც წაიყვანა, რაღაც ნახევარი საათიც არ იყო გასული, როდესაც არჩილი მანქანის მოხელესთან ერთად დაბრუნდა. მოხელემ მანქანა მალე მწყობრში ჩააყენა. მან არჩილს ფული არ გადაახდევინა, ალა გაკვირვებული დარჩა. როდესაც მანქანაში მგზავრებმა ადგილები დაიკავეს,ალამ არჩილს ლოყაზე აკოცა, მე თქვენი მჯეროდა, რომ თქვენ ამ ყოველივეს თავს გაართმევდით. ფოთს რომ გამოსცდნენ, ქალს ტირილი აუტყდა და ბავშვს თავზე კოცნა დაუწყო, ეტყობა, გააცნობიერა, ეს გზაში რომ მომხდარიყო, რა დაემართებოდათ. როცა დაწყნარდა, ამაღლებულ ხასიათზე მოსულმა, ყველა რესტორანში დაპატიჟა, ისე დაჟინებით სთხოვა, რომ მამაკაცებმა უარი ვერ უთხრეს. რესტორან „აფხაზიას“ მიადგნენ მწვანე კონცხზე. გადარჩენის ამბავი აღნიშნეს. ალამ ანგარიშის გადასახდელად მიმტანს უხმო. მიმტანმა გულთბილად გაუღიმა და მიუგო, მაგიდა გადახდილიაო. ალამ ბიჭებს განცვიფრებულმა შეხედა, რა ხდებაო. ედიშერმა მხრები აიჩეჩა, სადაც არჩილ ნიკოლაევიჩია, იქ ყველაფერი ყოველთვის რიგშია, ჩემო ალაჩკა. არჩილი პურმარილის დროს გავიდა, ნაცნობ მიმტანს აუხსნა მდგომარეობა და ფულის მიტანას მეორე დღისთვის დაჰპირდა. მას აქ ხშირად დაჰყავდა სტუმრები და ძალზე ახლოს იცნობდნენ. უკვე საღამოს ათი საათი იქნებოდა, როდესაც რესტორნიდან გამოვიდნენ. არჩილმა გადარჩენისა და ალას სადღეგრძელო როცა შესვა, არჩილს არ გამოპარვია მხედველობიდან, რომ ალა მას თბილად უღიმოდა. სტუმარი ქალი პანსიონატში ისვენებდა. მანქანაში რომ ჩასხდნენ, ედიშერმა არჩილს უთხრა რუსულად: ეხლა შენთან წავიდეთ, დარჩი სახლში და მე ალას მივაცილებო. ალა ედიშერისკენ შემოტრიალდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და თავაზიანად მიმართა, თუ შეიძლება არჩილმა გამაცილოსო. ამის გამგონე ედიშერი სახტად დარჩა, მხრები აიჩეჩა, ყველაფერი გასაგებიაო და მალე არჩილმა ედიშერი თავის სტუმართან ერთად მის სახლთან ჩამოსვა. მანქანა შემოატრიალა და სანაპიროს გაუყვა, მახინჯაურში რომ მივიდა, ალა არჩილისკენ მიტრიალდა, ბავშვი გულში ჩახუტებული ჰყავდა. ანდრიუხას ჩასძინებოდა. იცი, არჩილ, – დაბალი ნაზი ხმით წამოიწყო, – ნუ გაგიკვირდება, მაგრამ უშენოდ მოვიწყენო. არ ვიცი აწი როდის გნახავ და არ მინდა პანსიონატში მისვლა, შენთან დავრჩები ამ ღამეს მანქანაში, თუ წინააღმდეგი არ იქნები, – უთხრა ალამ. არჩილი დაიბნა, რა გაეწყობოდა. ქალმა სთხოვა და აბა რა კაცი იყო, რომ მისთვის სურვილი არ აესრულებინა, მანქანა შემოატრიალა და უკვე ნელი სვლით სანაპირო გზას გაუდგა. წინ და უკან ამ მარშრუტს რამდენიმე წრე დაარტყა და მერე ბავშვი შეეცოდა. ალას უთხრა, მოდი ჩემთან წავიდეთ, თორემ ბავშვი ცოდოაო. ალა დასთანხმდა. არჩილის ცოლი ბავშვებით სოფლად ისვენებდა.

ღამის ორ საათზე არჩილმა მანქანა სახლის წინ გააჩერა, ბავშვი ხელში აიყვანა და სახლში შევიდა, ალაც მას მიჰყვა. მან ანდრიუხა ლოგინზე დააწვინა და ალას უთხრა, მე ყავას დავადგამ, შენ კი მანამდე აქ იყავიო. არჩილმა ყავა მოადუღა და საძინებელში შევიდა. ალას ბავშვთან ერთად ჩასძინებოდა. არჩილს გაეღიმა. ქალს ისე ლამაზად სძინავდა, რომ მისი გაღვიძება დანაშაულად ჩათვალა. ის იქვე, სავარძელში, დაჯდა და ისე ჩაეძინა. დილას ალამ გაიღვიძა, თბილად მიესალმა, ბოდიში მოიხადა, ყველაფრისათვის მადლობა გადაუხადა. არჩილმა ყავა მიართვა, მერე ლოყაზე აკოცა,თბილად ჩახედა თვალებში, დედა-შვილი "სამველას" დუქანში აჭარულ ხაჭაპურზე მიიპატიჟა და იქიდან პანსიონატში აიყვანა. ედიშერს მანქანა მიუყვანა და ეზოსთან დააყენა. როცა ედიშერი მოიკითხა, უთხრეს, რომ ის ბადრის კაბინეტში იყო. მეორე სართულზე კაბინეტს სანამ მიუახლოვდებოდა, ბადრის ხმა შემოესმა, ის ცოფებს ჰყრიდა. არჩილმა კარი შეაღო. ედიშერი მხრებაჩეჩილი კედელთან ატუზულიყო. არჩილის დანახვაზე ბადრიმ ხელი მისკენ გაიშვირა და ამჯერად არჩილს დაუწყო ლანძღვა: ბიჭო, ქალი ჩაგაბარე, ედიშერს იმიტომ არ ვანდე ის ქალი, ვიცოდი, რასაც იკისრებდა! შენ კი მას გადაუჯოკრე და თავი საქვეყნოდ მომჭერი! სად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გყავდა, შე ოხერო, ის ქალი მთელი ღამე? არჩილმა ბადრის დასაწყნარებლად სიცრუის თქმა ამჯობინა: პანსიონატში მივიყვანე, მანქანა კი მე დავიტოვეო. საღამოს საქმე მქონდა სარფშიო. ამის გაგონებაზე ბადრი ოდნავ დაწყნარდა. მერე არჩილმა უთხრა: ჩემო ბადრი, ედიშერს მართვის მოწმობა ააღებიე და თვითონ სდიეთ თქვენ სტუმრებს. სხვათა შორის, არანაკლებ სახელმწიფო საქმეებს მეც ვაკეთებო და ნაწყენი წავიდა.

ორი კვირის შემდეგ ბადრიმ კვლავ დაურეკა არჩილს. შენი ჭირიმე, მოდი ჩემთან, თუ ჩემი ძმა ხარო. თან შევრიგდეთ, თან ვიღაცა უნდა განახოო.

შეხვედრა ექვსი საათისთვის დათქვეს. არჩილიც დათქმულ დროზე მივიდა. შევიდა ბადრის კაბინეტში და რას ხედავს, ალა თავისი ბავშვით ვიღაც რუს მამაკაცთან ერთად ზის. ანდრიუშა არჩილის დანახვაზე მასთან მივარდა ძველი ნაცნობივით, ალა ფეხზე წამოდგა, არჩილი გადაკოცნა, მერე თავისი ქმარი წარუდგინა, მას ქმრისთვის ყოველივე უამბნია. კაცი არჩილს თბილად უღიმოდა, მადლობა გადაუხადა ყველაფრისთვის. მერე ბადრიმ ისინი პორტის რესტორანში დაპატიჟა, სუფრიდან წამოსული ცოლ-ქმარი ბადრის და არჩილს გულთბილად დაემშვიდობა. როცა მეგობრები მარტონი დარჩნენ, ბადრიმ ხმა ამოიღო: „შენ, ყოჩაღ ძმაო, ქალმა სახლში თავი წაგაყვანინა და ხელი არ დააკარე, აფერუმ შენს ვაჟკაცობას“! არჩილმა სიცილით მიუგო, აწი ვინმე არ ჩამაბაროო. ბადრიმ ხელი თავზე გადაუსვა. არჩილ, შვებულება როდის გიწევს? – შეეკითხა. რაზე მეკითხები? – ჰკითხა არჩილმა. „შეცდომა“ უნდა გამოვასწორო, ისეთი თვალებით გიყურებდა ის ქალი, რომ თქვენს ცოდვაში ფეხს ვერ ჩავდგამ და მოსკოვში უზრუნველვყოფ შენს გამგზავრებას. არჩილმა ამაზე უარი უთხრა, ბადრიმ გაბრაზებულმა შეუტია,–ახლა მახვეწნინე კიდეც! არ გრცხვენია, ბიჭო, რაღაც აბდლური არ მაფიქრებიო?... და ორივეს გაეცინა.

რესტორანი „ბელარუსსკი“

მოსკოვში ჩასული მეგობრები ხშირად „ბელარუსკი“ ვაგზლის რესტორანში სადილობდნენ, იქ ნორმალური სამზარეულო იყო და ნაცნობი მიმტანებიც ჰყავდათ.

იქ პირველად რომ მოხვდნენ, მიმტანმა მამაკაცმა ჟორამ მათ ბელორუსულად შემწვარი ღორის ხორცი შესთავაზა, გიზომ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილმა ცხარე საწებელიც შეუკვეთეს, ცოტა ხნის შემდეგ მიმტანმა მეგობრებს შეკვეთილი ღორის ხორცი მიუტანა და 100-გრამიანი ჭიქით თეთრი რადაც მასა დაუდგა. არჩილის შეკითხვაზე საწებელი თუ მოიტანეო, მიმტანმა ჭიქაზე მიუთითა, ეს არის, ბიჭებო, ჩვენებური საწებელი. არჩილმა ჭიქა პირთან მიიტანა, ცოტა მოსინჯა, ეტყობა თავიდან ვერ მიუხვდა გემოს და ტრაბახის მიზნით, თითქოს და ამას არაფერი აქვს საერთო ცხარე საწებელთანო, 100 - გრამიანი ჭიქა არაყივით შესვა. მიმტანი სახტად დარჩა. ხოლო არჩილს კი სუნთქვა შეეკრა. გიზომ მას არყიანი ჭიქა მიაწოდა და ისიც გადაჰკრა, არჩილი სიმწრისგან წამოდგა, როდესაც ოდნავ მოეშვა, თვალები ცრემლით ავსებოდა. გიზო იცინოდა, მიმტანმა არჩილს გაკვირვებულმა ჰკითხა, ხრენი კიდევ თუ მოგიტანოთო. გიზომ თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა, მიმტანი ხრენის მოსატანად მიტრიალდა, არჩილი კი აინთო და ქართულად შეაგინა, ეგი რა მკადრა მაგ ვირიშვილმაო და მისკენ გაიწია. გიზო რომ არა, იქ ჩხუბი ატყდებოდა. გიზო არჩილის აცრემლებულ და აწითლებულ სახეს უყურებდა და გიჟივით იცინოდა, – შე ყრუო, ხრენი, შენ რომ გაიფიქრე, ის კი არაა, არამედ სპეციალური საწებელია რუსეთშიო, გაიგე, შე გაუნათლებელო, შენა? ამ დროს ჟორაც მოვიდა, ამჯერად მან ბიჭებს ორასგრამიანი ჭიქით მოუტანა ხრენი, დაუდგა და უთხრა: „ვოტ ვაშ ხრენ!“ მეგობრებს სიცილი აუტყდათ, ასე და ამგვარად „დააგემოვნა“ არჩილმა ხრენი პირველად...

არჩილი რუსეთის ქალაქის რესტორნებში დაპატიჟებულ მანდილოსნებს ხუმრობით მიმართავდა ხოლმე: "მოჟეტ ვამ ხრენა ზაკაზატ", და მერე იხსენებდა იმ რესტორნის ამბავს და მანდილოსნებიც ხალისობდნენ. ერთმა ქალბატონმა ღიმილით მიუგო: აბა, რას ბრძანებ, შენს გვერდით ვიყო და მე სხვაზე ვიფიქრო? ამ სიტყვების გაგონებაზე არჩილს აბდლური სიცილი აუტყდა, მერე ქალსაც აუხსნა ყოველივე და კარგა ხანს იცინეს.

მიტოვებული სტუმარი

აგვისტოს ერთ დღეს არჩილთან სენაკიდან მისი ნათესავი ანტონი ჩამოვიდა. ის მასზე უფროსი გახლდათ, სახით ცნობილ იტალიელ კინოვარსკვლავს მარჩელო მასტროიანს ჩამოჰგავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითფრინავში ქალი გაეცნო, რომელიც ზღვაზე დასასვენებლად მოდიოდა. კოპიტნარის აეროდრომიდან, სადაც მას თავისი მანქანით დახვდნენ ძმაკაცები, ბათუმისკენ გამოემგზავრა ნოვოსიბირსკელ ნატალიასთან ერთად. ანტონი არჩილის სანახავად მივიდა. არჩილი შესვენების დროს თავის მოსაწესრიგებლად სახლში მისულიყო, უკვე პიჯაკიც ჩაცმული ჰქონდა, რომ ანტონმა კარზე დააკაკუნა. კარი არჩილის მეუღლემ გაუღო. მასპინძლები სტუმრის მოსვლამ ძალზე გაახარა, ლილის სუფრა გაეწყო, მაგრამ არჩილი სადილობას ვერ ასწრებდა, მას თათბირზე ეჩქარებოდა. აგერ ანტონიც მოვიდა და ორივემ ერთად ისადილეთო, მიმართა მეუღლეს. მაშინ ანტონმა უთხრა არჩილს: აჰა, მანქანის გასაღები, აქ დაგელოდები, ერთ საათში თუ ვერ მოხვედი, მაშინ ჩვენებთან გადავალ გარადოკშიო. არჩილს გასაღები მისცა და ორაზროვნად თვალი ჩაუკრა. ამ დროისთვის წვიმაც დაწყებულიყო, არჩილი თეთრ ჟიგულთან მივიდა, კარი გააღო, საჭესთან დაჯდა და ამ დროს დაინახა სავარძელზე მჯდომი ქალი. არჩილი მას ზრდილობიანად მიესალმა, თავი წარუდგინა. ქალს ნატაშა ერქვა. იგი ნოვოსიბირსკიდან ჩამოსულიყო. მანქანა სამსახურთან გააჩერა. ქალს მოუბოდიშა, რადიო ჩაურთო და მანქანიდან გადავიდა, სამსახურში შეირბინა. მალე დაბრუნდა, თათბირი გადაედოთ. არჩილს ძალზედ მოეწონა ქალი, გარეთ კი კოკისპირულად წვიმდა, რომ იტყვიან, "კაცი ძაღლს არ გააგდებდა გარეთ". არჩილმა ნელი სვლით მანქანა პირდაპირ სანაპიროზე გაიყვანა, უამინდობის გამო მხედველობა ჭირდა. მანქანით პირდაპირ სანაპირო პარკის ცენტრალურ შესასვლელში შევიდა, დღეს სადაც შადრევნებია. იქ წინათ უამრავი ყვავილი ერგო და პარკიც ზღაპრული სანახავი იყო. თავსხმა წვიმაში მანქანიდან ჩამოვიდა, ერთი ვარდი მოწყვიტა, მანქანის კარი გამოაღო, სადაც ნატაშა იჯდა, მუხლი მოიდრიკა და ყვავილი მისცა, შემდეგ წამოდგა და ხელზე ეამბორა. როცა მანქანაში დაჯდა, შეამჩნია, ქალი მისი ამგვარი საქციელით გაოგნებული დარჩა. ნახევარსაათიანმა წვიმამ მალე გადაიღო და ამინდიც გამოვიდა. არჩილმა შემთხვევით ისარგებლა და ნატაშა მანქანით მახინჯაურისკენ წაიყვანა, ბონატიკურ ბაღში აიყვანა და დაათვალიერებინა. არჩილს სურდა, რომ ნატაშას ყოველივე ამ სილამაზის ნახვა მოესწრო. იმიტომ, რომ ანტონი მას უკან წაიყვანდა და ის ამ მშვენიერებას ვეღარ ნახავდა. რა იცოდა არჩილმა, თუ ანტონი ნატაშას დეიდასთან ბათუმში დატოვებდა. ასე ორი საათის შემდეგ არჩილი გარადოკში მივიდა, სადაც ანტონი უნდა დახვედროდა. ანტონი ყავას სვამდა. არჩილმა ნატაშა მანქანიდან გადმოიყვანა, ქალი ანტონივით არ დაუმალავს. ნატაშა მიხვდა, რომ საქმე კაცთან ჰქონდა, და მის გვერდით დგომას არ თაკილობდა. ბინაში რომ შევიდნენ, არჩილმა ნატაშა ნათესავებს წარუდგინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანტონმა სტუმარ ქალს მიმართა, რომ ჯერ სახლში არ ჩავსულვარ, ახლა წავალ და ზეგ ჩამოვალო. ნატაშა დეიდას ჩააბარა და დაიიმედა, ჩემს ჩამოსვლამდე არჩილი და ჩემი დეიდაშვილები არ მოგაწყენენო. ანტონმა მანქანის საბარგულიდან სტუმრის ხელჩანთა ამოიღო, სახლში შეიტანა და ნატაშას დაემშვიდობა. დეიდამ სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან სტუმარი მიიპატიჟა. არჩილი ანტონმა სამსახურამდე მიიყვანა. დამშვიდობებისას კი არჩილს მიაძახა, აბა, შენ იცი, არ მოაწყენინოო და სენაკისკენ გასწია, სადაც ოჯახი და სამუშაო ელოდებოდა. ორი დღის შემდეგ არჩილი დეიდასთან რომ მივიდა, სტუმარი ქალი არ დახვდა. არჩილმა შესჩივლა დეიდას, ანტონმა რატომ არ მინახულაო. დეიდამ გაბრაზებით მიუგო, მგონი გვაჩუქეს ქალბატონი ბათუმელებს. რა, არ ჩამოსულა? – გაკვირვებით იკითხა არჩილმა. რომ ჩამოსულიყო, რავა ფიქრობ, დაგიმალავდი? ისედაც ვერ ვეტევით სახლში, და ახლა ამ ქალს უნდა ველოლიავოთო. არჩილმა ნატაშა მოიკითხა. ქალი ქალაქში იყო გასული, სადილობისას დაბრუნდება, თუ გინდა დაუცადე, შენ საყვარელ ლობიოს ვაკეთებ ნიგვზით. წავალ და მალე დაებრუნდები, ამ ქალს კი რამეს მოვუხერხებ, სადღაც მოვაწყობ, ასე რომ, არ ინერვიულო, საქმე, ხომ ხედავ, ლობიოთი ჩააწყვე. ნათელა დეიდა ძალიან ვაჟკაცური ქალი გახლდათ. სადილის დროც მოვიდა; არჩილმა ცოტა დააგვიანა, ნატაშა უკვე სახლში დაბრუნებულიყო. დეიდას სუფრა გაწყობილი ჰქონდა. სადილობისას არჩილმა ნატაშას შესთავაზა, რომ ის მას ქალაქის ცენტრში, ზღვასთან ახლოს მოაწყობდა, ამხანაგის ბინაში, რომელიც სოფელში იყო წასული და ბინას ხშირად არჩილს უტოვებდა. შეთანხმდნენ და სადილის შემდეგ არჩილმა ის ახალ მისამართზე წაიყვანა. ნატაშას ძალიან მოეწონა ახალი ბინა, არჩილს მადლობა გადაუხადა, შემდეგ არჩილმა ნატაშა ზღვაზე გაიყვანა, საბანაო ადგილი შეურჩია და იქ დატოვა. საღამოს შეხვედრაზე შეთანხმდნენ. ზღვისპირა პარკში სეირნობისას, ნატაშამ არჩილს სთხოვა, ის ადგილი ეჩვენებინა, საიდანაც მან ყვავილი მოუწყვიტა და მიართვა. არჩილმა სურვილი აუსრულა. შემდეგ კაფეში დასხდნენ და მალე სახლისკენ გაუდგნენ. არჩილმა ნატაშა სახლამდე მიაცილა, დაიიმედა, რომ ანტონი მალე გამოჩნდებოდა და დაემშვიდობა. ასე გავიდა ერთი კვირა. არჩილი ყოველდღე ნახულობდა ნატაშას, ერთხელ ამხანაგებთან ერთად რესტორანშიც წაიყვანა. ნატაშა არჩილს ისე შეეჩვია, რომ რესტორანში ცეკვისას არჩილს ყურში წასჩურჩულა, ახლა რომ გამოჩნდეს შენი ნათესავი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალზედ მეწყინებაო, შენთან თავს კარგად და დაცულად ვგრძნობო. არ გეწყინოს და შენმა ანტონმა ჩემოდანივით მიმაგდო, შენ ჩემთვის საქართველოში ერთადერთი მამაკაცი ხარ, რომელსაც ვენდობი და ვისიც მჯერა. მიხვდა არჩილი, რომ ნატაშამ „მწვანე“ აუნთო, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, ვითომ ვერაფერი გაიგო, რესტორნის შემდეგ ქალი სახლამდის მიაცილა. ნატაშამ არჩილი სახლში შეიპატიჟა, არჩილმა თავი შორს დაიჭირა, მოიმიზეზა, ამხანაგის დეიდაა ავად და ბიჭები საავადმყოფოში ვმორიგეობთო. გულში კი ანტონს აგინებდა...

ნატაშა არჩილით აღფრთოვანებული იყო, მისმა ხალასმა და იუმორით აღსავსე ენამ დაიპყრო ნატაშას გული. როდესაც არჩილი რამეს სასაცილოს მოყვებოდა, ქალი მას სიცილით ცალ ხელზე ჩამოეკიდებოდა ხოლმე, რომ არ წაქცეულიყო. ერთხელ ნატაშა არჩილს შეევედრა, – ზღვაზე მაინც მოდი ჩემთან რამდენიმე ხნით, მარტო მოწყენილად ვგრძნობ თავს. რომ გავერთო, წიგნს ვკითხულობო. არჩილმა მას ერთი შემთხვევა უამბო. ერთხელ ზღვაზე გავედი, ნათესავები მელოდებოდნენ, გავიხადე და ამ დროს ატყდა ბავშვის ყვირილი, დედა, შეხედე, მაიმუნიო. მეც შემეშინდა, ზურგზე არ შემახტეს-თქო და შიშით იქითკენ გავიხედე, საიდანაც ხმა ისმოდა და დავინახე, გოგონას ხელი ჩემსკენ ჰქონდა გამოშვერილი. ვკითხე, სად არის მაიმუნი? მან ღრიალი მორთო,დედა,დედა,ის კიდევაც ლაპარაკობსო. მივხვდი, რომ მან ჩემი თავი ჩათვალა მაიმუნად და იქაურობას გავეცალე. ამის გაგონებაზე ნატაშას სიცილისაგან ცრემლები წამოუვიდა, მათ ბევრი საერთო აღმოაჩნდათ, ნატაშა პროფესიით ინჟინერი იყო, მან არჩილს ერთხელ უთხრა, მე საკმაო ფული მაქვს ჩამოტანილი, რათა ნორმალურად დავისვენო და არ მოგერიდოსო. ერთხელ ნატაშას თხოვნით რესტორანში წავიდნენ. არჩილმა გოგიც დაპატიჟა, გოგის კი გაექცა თვალები ნატაშასკენ, მაგრამ ნატაშას გოგისთვის საერთოდ ყურადღება არ მიუქცევია, და როდესაც გოგიმ გაიგო, რომ ნათესავმა დაუტოვა ქალი ერთი დღით და უკვე მეათე დღე არ ჩანდა, არჩილს უთხრა: შენ, ჩემო ძმაო, სულ გაგიფრენია, ქალს რად აწვალებ, ხომ ხედავ, როგორ არის შენდამი განწყობილი და ხელს რად არ კიდებ? სუფთა მაზოხისტი ხარო.

დილდილობით ნატაშა და არჩილი აჭარულ ხაჭაპურს მიირთმევდნენ, არჩილი ზღვამდე აცილებდა მას და თვითონ სამსახურში მიდიოდა. არჩილს მორიგე პოლიციელი ჰყავდა გაფრთხილებული, თუ ვინმე შეეცდებოდა ძალით გაცნობას, ნატაშას ამ პოლიციელისთვის უნდა მიემართა.

არჩილს ანტონი სულ გადაავიწყდა, დილით ნატაშას მიაკითხა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარები დაკეტილი დახვდა, გაუკვირდა, მერე გაიფიქრა, ანტონმა ხომ არ ჩამოაკითხაო და ჩაეცინა, დეიდასთან მივიდა. დეიდას მისამართი მიუცია ანტონისათვის. ყველაფერი ნათელი იყო. გასაღები ხომ არ დაუტოვებიაო, – იკითხა არჩილმა. არა –მიუგო დეიდამ, ალბათ დაავიწყდა და ისე წავიდა. რა უნდა ექნა, ბინას ვერ გააღებდა და შორიდან უნდა ემწყემსა, სანამ მეგობარი ჩამოუვიდოდა სოფლიდან. ხასიათი წაუხდა. ის ისე შეეჩვია ნატაშას, მისი გაუჩინარება ძალზედ ეწყინა, სამსახურს გული ვერ დაუდო, არ იცოდა, რა ექნა, თან თავის თავს ეკითხებოდა, ხომ არ შეგიყვარდაო? მერე ძმაკაცებთან წავიდა, და ქობულეთში, რესტორან „კურძალში“ აღმოჩნდა, მერე ისევ ბათუმში დაბრუნდა. სამსახურთან დატოვებულ მანქანაში ჩაჯდა... ღვინო ბოღმისაგან არ ეკარებოდა. ღამის პირველი საათი იყო, მისდა უნებურად ამხანაგის ბინისკენ გაემართა, სახლს რომ მიუახლოვდა, ფანჯარაში სინათლე დალანდა, იფიქრა, ნატაშას დარჩაო, ანდა ამხანაგი ჩამოვიდაო, მივიდა და დააკაკუნა. უცებ ხმაური გაისმა, კარი გაიღო. მის წინ ნატაშა იდგა ღამის პენუარში. დაინახა თუ არა არჩილი, მტირალმა ქალმა გაოგნებული და სახტად დარჩენილი არჩილი გულში ჩაიკრა და კოცნით აავსო. როგორ მომენატრე, მოვკვდებოდი დღეს რომ არ მენახე, ანტონმა ძალით წამიყვანა, მაგრამ მაინც გამოვექეციო. არჩილი ნელ-ნელა გონს მოდიოდა, როდესაც გამოფხიზლდა, ნატაშას დაუწყო დაწყნარება, ასეთი ქალის ალერსს, ზურგს ვერ შეაქცევდა, მით უმეტეს, რომ მისი გაუჩინარების გამო დალია. მთელი ღამე ერთმანეთის ფერებაში გააატარეს, ორივემ თავისი ვარამი "გადმოანთხია", ერთმანეთს გული გაუხსნეს...

ნატაშას გამგზავრების დროც დადგა. არჩილმა მას თვითმფრინავის ბილეთი შეუძინა, გამგზავრების წინა ღამეს რესტორანში წავიდნენ, მათ გახარებული გოგიც ახლდათ. გოგიმ გულიანად ითამადა – არჩილი და ნატაშა ნეფე-დედოფალივით დალოცა, თან ნატაშას ბედნიერი მგზავრობა უსურვა.

მეორე დღეს მეგობრებმა ნატაშა აეროპორტში გააცილეს. არჩილმა ჩემოდანი საბარგო განყოფილებაში ჩააბარა. ნატაშა თვითმფრინავში ააცილა და თავის ადგილზე მოათავსა, არჩილი გვერდით დაუჯდა, წასვლამდე ვიქნებიო. ნატაშა მის ხელს ჩამოეკიდა და ფერება დაუწყო ცრემლმორეულმა. ცოტა ხანი რომ გავიდა, სტიუარდესა მგზავრებს მიესალმა, ამ დროს თვითმფრინავის კარების დახურვის ყრუ ხმა გაისმა. ნატაშამ არჩილს უთხრა, არ დარჩე, მალე ჩადიო და კოცნა დაუწყო. არჩილმა დაამშვიდა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯობს როგორც სტიუარდესამ გამოაცხადა, ისე მოიქეცი, სარტყელი შეიკარი და მეც მაცალე. ნატაშამ ნათქვამი ვერ გაიგო, არჩილი მისკენ გადაიწია და დაბნეულ ნატაშას სარტყელი შეუკრა. ნატაშა გონს მოეგო, მისი არჩილი მასთან ერთად მიფრინავდა, კარგა ხანს თავი არჩილის უბეში ჰქონდა ჩაფლული, ის სიხარულისგან სლუკუნებდა, არჩილის ხელები მის თავს ნაზად ეფერებოდა.

არჩილს ნატაშას გამო შვებულება აეღო, თურმე რა არის კავკასიელი მამაკაცის ბუნება, თუ ქალი მოეწონა, თავს ანაცვალებს.

თვითმფრინავი ვნუკოვოს აეროპორტში ჩაფრინდა. არჩილი იქაურობას კარგად იცნობდა. მოსკოვს სტუდენტობის დროს თითქმის ყოველ თვეში სტუმრობდა. როდესაც მგზავრებმა ჩასვლა დაიწყეს, არჩილმა ნატაშა წინ გაატარა. უცებ ნაცნობი ხმა მოესმა, ეს მისი ბავშვობის მეგობარი – ბონელი ნოდარი იყო, რომელიც არჩილს ვერ ხედავდა. არჩილს ესმოდა ნოდარის ხმა, იგი ნატაშას ქათინაურებით ამკობდა და გაცილებას სთავაზობდა. არჩილს გაეღიმა. როდესაც აეროპორტის ტერიტორიაზე გადამყვან ტრანსპორტში დასხდნენ, ნატაშა დაჯდა, ხოლო ნოდარი თავს დაადგა. არჩილი ნოდარს რომ არ დაენახა, ისე მოკალათდა და ნატაშას თვალი ჩაუკრა. როდესაც ჩემოდნის წამოსაღებად საბარგო განყოფილებაში შევიდნენ, არჩილი შორიახლო დადგა, იქ, როგორც ყოველთვის, ხალხმრავლობა იყო. ნოდარი ნატაშას არ სცილდებოდა. მალე საბარგულიდან ჩემოდანი გამოიტანეს, ნოდარმა, როგორც ჯენტლმენს შეჰფერის, ნატაშა ტაქსამდე მიაცილა. არჩილიც უკან მიჰყვა, სიცილს ძლივს იკავებდა. როდესაც ნატაშას რიგი დადგა, ტაქსისტმა საბარგული გააღო, ჩემოდანი შიგ მოათავსა. ნოდარმა ნატაშას კარები გაუღო და ამ დროს არჩილიც გამოჩნდა. ნოდარმა არჩილი გადაკოცნა და ნატაშას წარუდგინა, ჩემი ბავშვობის მეგობარიაო. ნატაშამ არჩილს ტუჩებში აკოცა და მანქანაში მოკალათდა, მას არჩილიც მიჰყვა. ამ სანახაობით გაშტერებული ნოდარი ძეგლად გადაიქცა. სანამ უკანა კარებს დახურავდა, ნოდარს უთხრა, დაჯექი, ბიჭო, წინ, ჩვენ ჩერიომუშკებში მივდივართ. ნოდარს სახე გაებადრა, მოწონების ნიშნად არჩილს ცერა თითი აუწია. ყოჩაღო, ხელი დაუქნია, უხმოდ ანიშნა: წადით, ძმაო, თქვენს გზაზეო. არჩილი ნატაშამ მის ძმასთან წაიყვანა. ძმა ყოფილი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გახლდათ..

ნოდარი დღესაც, სადაც არჩილს ნახავს, სუყველას ეუბნება: მაგას ნუ დამანახებთ, რაც მაგან ჩემოდანი მათრევია და ქალიც ცხვირწინ მომტაცა, მას შემდეგ ვერ ვიტანო და გულიანად იცინის ხოლმე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საყვარელი კაცის ძებნაში

არჩილს შუადღისას მისმა ძმაკაცმა მერაბმა შეუარა. ივნისის ცხელი დღე იდგა, თან კვირა იყო და გადაწყვიტეს არჩილის მანქანით ქალაქგარეთ, მალთაყვაში, ფოთთან ახლოს, ზღვაზე გასულიყვნენ. არჩილი სტუმრებთან ერთად იქ ხშირად დადიოდა, ბევრი ნაცნობიც ჰყავდა და მათთან იდებდა ბინას. მაგრამ ამჯერად ამხანაგებმა ზღვაზე გასვლა გადაწყვიტეს. არჩილს თადარიგი ადრე დაეჭირა. მანქანაში სამწვადე და შეშაც ჰქონდა ლამაზად დაწყობილი. ხოლო გობებში სასმელს აწყობდა, ზემოდან კიტრს, პომიდორს და მწვანილეულობას დააწყობდა, შემდეგ ყინულს ჩაქუჩით ზემოდან დაუფშვნიდა, მერე სამწვადეში დამარინადებულ ღორის ხორცს შეიძენდა და გზას გაუდგებოდა. როდესაც დანიშნულ ადგილს მიადგებოდა, სამწვადეს ააწყობდა, ცეცხლს დაანთებდა, სუფრას გააწყობდა, ამასობაში მწვადიც მზად ჰქონდა. ძმაკაცებმა პირველი ჭიქა რომ შესვეს, მათთან მანქანა გაჩერდა, მანქანიდან ლადო და თედო – ბათუმელი ძმაკაცები გადმოვიდნენ. მათ ორი ახალგაზრდა მანდილოსანი ახლდათ. ისინი ძალზედ ლამაზები და მიმზიდველები იყვნენ. არჩილმა სტუმრები გაწყობილ სუფრასთას მიიწვია, ორი ჭიქის დალევის შემდეგ ქალებმა გაიხადეს და საცურაო კოსტუმებში გამოწყობილებმა ზღვაში შეცურეს. კარგა ხნის შემდეგ, როცა ბიჭები უკვე შუა პურმარილში იყვნენ, სუფრას დაუბრუნდნენ. არჩილმა მუსიკა ჩართო. საცეკვაოდ ერთ-ერთი ქალი გამოიწვია, მეორე ქალთან კი მერაბი ცეკვავდა. არჩილი ეხუმრა: ჩვენ, ჩემო მერაბ, ცეკვა თუ შეგვრჩება აგენთან, თორემ მერე მოვა მეორე ცვლა და "გახედნავს" აგენს. ბიჭებმა სიცილი დაიწყეს. სუფრა რომ აიშალა, ლადომ და თედომ მერაბი და არჩილი ბათუმში ჩასვლისთანავე რესტორან „ხიხანში", შამპანურის და ყავის დასალევად დაპატიჟეს, რესტორანში შამპანური და ყავა დაუკვეთეს. თედოსთან არჩილს კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ისინი ქალთა კამპანიაშიც ყოფილან ერთად. ერთხელ კი ასეთი რამ გადახდათ. ქალები გაიცნეს, ისინი ერთ ოთახში ცხოვრობდნენ. კარტის თამაშში არჩილმა წააგო მის მეწყვილე ქალთან ერთად და მათ გარეთ გასვლა მოუწიათ– არჩილის მანქანაში გაათენეს. არჩილმა ქალს ხელი არ დააკარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ამბავი თედომ ქალებისაგან გაიგო და ახლა „ხიხანში“ საკმაოდ ნასვამმა ეს შემთხვევა გაიხსენა, თან არჩილიც გააშაყირა, ქალებო, ეს კაცი საშიში არ არის, „ცისფერიაო“. ყველას სიცილი აუტყდა. ამ დროს არჩილმა მის გვერდით მჯდომ ნატაშას ჩურჩულით ჰკითხა, საპირფარეშოში გასვლა ხომ არ გნებავთ ამდენი სასმელის შემდეგ? ქალი დათანხმდა. ბიჭები სუფრასთან ანეგდოტებს ყვებოდნენ. არჩილმა ნატაშას გაცილება შესთავაზა და ქალი გარეთ გაიყვანა. მეორე სართულიდან ქვემოთ ჩავიდნენ, სადაც საპირფარეშო იყო განთავსებული. არჩილმა უთხრა, აქ ძალიან ცუდი საპირფარეშოა და ცოტა მოშორებით კაფეში გავიდეთო. ქალი დათანხმდა. როდესაც ნატაშას და არჩილს შეაგვიანდათ, სუფრასთან მსხდომნი, შეწუხდნენ. აქამდე სად არიანო, – იკითხა თედომ. მერაბმა უპასუხა: შენ იმდენი აშაყირე არჩილი, რომ საეჭვოდაა საქმე, იგი ასეთ რამეებს არ პატიობსო. მერაბმა იცოდა არჩილის ხასიათი, არჩილი არავის არაფერს დაუთმობდა. მათ ერთად ბევრი ასეთი სათავგადასავლო საქმეები გადახდენიათ თავს და გამოცდაც არჩილს „ხუთიანზე“ ჰქონდა ჩაბარებული.

არჩილმა მანქანა დაძრა და სარფში მის მეგობარ - ალისთან ავიდა, რატომდაც მისი ნახვა მოუნდა. ნატაშა მანქანაში ელოდებოდა. მერე ბათუმში დაბრუნდა. დამის თერთმეტი საათი იქნებოდა. მანქანა ერთ-ერთ ბენზინგასამართ სადგურთან გადააყენა. „ბარდაჩოკიდან“ ლიქიორი, შოკოლადი, ორი ვაშლი და ნამცხვარი გამოიღო. სასმელი პატარა ჭიქაში ჩამოასხა და მაგნიტოფონი ჩართო. თითო ჭიქა შესვეს, მერე არჩილმა ბოდიში მოუხადა ნატაშას და უთხრა, უნდა დაგიმტკიცო, რომ „ცისფერი“ არ ვარო, მანქანის საჯდომი საძინებელ მდგომარეობაში მოიყვანა და ხელი ნატაშას მოჰკიდა. ნატაშამ სთხოვა: ამას ნუ იზამ, თუმცა შეგიძლია დამიმორჩილო, მე შენი კაცობის მჯერა. საქართველოში ჩამოვედი ჩემი საყვარელი ადამიანის სანახავადო, მის მონახვას ყველა დამპირდა, მაგრამ ბოლოს ყველამ ჩემი ლოგინში ჩაწვენა მოისურვა, თუმცა ყველას დავუსხლტი ხელიდანო. თედოც დამპირდა დახმარებას, მაგრამ ხომ ხედავ, დათვრა და ჩემი თავი ფეხებზე დაიკიდაო. არჩილმა მისი საყვარელი კაცის ვინაობა იკითხა. ნატამ უთხრა რომ, მას როსტომი ჰქვია და იგი ქობულეთელია. არჩილს ირონიულად ჩაეცინა. მან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქანის სავარძელი თავის წინანდელ ადგილს დაუბრუნა. მანქანა დაქოქა და ქობულეთში გაემგზავრა. უკვე ღამის თორმეტ საათს გადაცილებული იყო თავისი მეგობრის სახლთან რომ მივიდა, კარებზე დაუკაკუნა. როსტომი გარეთ გამოვიდა, მას მამამისი გამოჰყვა. მშვიდობაა? – იკითხა მამამ, და დადებითი პასუხის შემდეგ სახლში გაბრუნდა. გაკვირვებულმა როსტომმა ჰკითხა არჩილს, რა ხდება? არჩილმა იგი მანქანისკენ წაიყვანა, უკანა კარები გაუღო და შიგ შესვლა სთხოვა. როსტომი დაემორჩილა, არჩილი გარეთ დარჩა. ათი წუთიც არ იყო გასული, როსტომი მანქანიდან გაბადრული სახით გამოვიდა. აბა,რა იქნებოდა, ასეთი ლამაზი ქალი მისი გულისათვის საქართველოში ჩამოვიდა და მას დიდი "რისკის ფასად" ეძებდა. მოკლედ, ნატაშა და როსტომი მეორე დღისთვის შეხვედრაზე შეთანხმდნენ. არჩილმა მანქანა ბათუმისკენ დაძრა, ცოტა რომ გაიარეს, ნატაშამ გაჩერება სთხოვა. იგი უკან იჯდა. არჩილმა მანქანა გააჩერა, ნატაშა გადმოვიდა და წინ დაუჯდა. მერე ბედნიერი ქალი არჩილისკენ მიბრუნდა და ლოყაზე აკოცა, კაცი ხარ კაცურიო. ჩემთან ჩამოდი ლენინგრადში,კარგ დროს გაგატარებინებ,შენისთანა კაცთან ურთიერთობაზე უარს არცერთი ქალი არ იტყვისო...

მეორე დღეს არჩილმა ლადო და თედო მოინახულა: ლადომ ჰკითხა, მე რა დაგიშავე, რომ ჩემი ნაშა დამაწერე, შენ ხომ თედო გაშაყირებდაო. ეჰ, ბიჭებო, ქალი ქართველ საყვარელ კაცს ეძებდა და თქვენ კი არ დაეხმარეთო, – მიუგო გაბრაზებულმა არჩილმა. შენ რა აპოვნინე? – ჰკითხა თედომ. არჩილმა მათ ყოველივე უამბო. უხერხული სიტუაცია ისევ თედომ განმუხტა, – სწორი ვიყავი, ძმაო, რომ გითხარით, ეს კაცი „ცისფერიაო“. მამაკაცებს სიცილი აუტყდათ.

ახალი წელი ღია ცის ქვეშ

არჩილი ლენინგრადში, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე იმყოფებოდა, მასთან ერთად სასტუმროში ლვოველი პაველ კაზაკოვი ცხოვრობდა.

პაშა კარგი ამხანაგი გამოდგა. ისინი დამეგობრდნენ, თავისუფალ დროს ერთად ატარებდნენ, ექსკურსიებზე, ბარებში და რესტორნებში ერთად დადიოდნენ. კარზე ახალი წელი იყო მომდგარი. მეგობრებმა გადაწყვიტეს, ახალ წელს პაშას ნაცნობ ქალთან შეხვედროდენ. ასეც მოიქცნენ. პაშამ გალინას დაურეკა და მათი წინადადება შესთავაზა. გალინა შეთავაზებაზე სიამოვნებით დათანხმდა და პაშას არჩილისთვის დაქალის გამონახვას დაჰპირდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

30 დეკემბერს მეგობრები გალინას შეხვდნენ. მაღაზიებში ძმაკაცებმა საჭირო სურსათ-სანოვაგე და სპირტიანი სასმელი ბლომად შეიძინეს, ნაყიდი გალინასთან სახლში დატოვეს და შეხვედრა მეორე დღის სადამოს რვა საათისთვის დათქვეს. გალინასთან დათქმულ დროზე მივიდნენ. ქალი სამზარეულოში მარტო საქმიანობდა. პაშამ გალინას მითითებით მაგიდის გაშლა დაიწყო, მას არჩილიც დაეხმარა. ამასობაში გაირკვა, რომ ახალ წელს ისინი სამნი შეხვდებოდნენ. გალინამ თქვა, რომ ყველა მის დაქალს ახალი წლის შეხვედრა წინასწარ დაუგეგმავს. თერთმეტ საათზე გაშლილ სუფრას შემოუსხდნენ და ძველი წლის გაცილება დაიწყეს. სამი სადღეგრძელოს შემდეგ პაშამ გალინა საცეკვაოდ გაიწვია, და წყვილმა დაიწყო ცეკვა, გრძნობას აყოლილი წყვილი არჩილმა შეუმჩნევლად მიატოვა, მათთვის ხელი რომ არ შეეშალა, პალტო ჩაიცვა და გარეთ გავიდა გასასეირნებლად. ქუჩას ნელი ნაბიჯებით მიუყვებოდა, მისგან განსხვავებით შემხვედრები ჩქარობდნენ. ნევის სანაპიროს პატარა მონაკვეთი რომ გაიარა, ბათქა-ბუთქი ატყდა. არჩილმა ახალი წელი თავისთავს მიულოცა, შემდეგ ტელეფონის ჯიხურთან მივიდა, კოსტუმის გარე ჯიბიდან ორკაპიკიანი ამოიღო და თავის ნაცნობ ქალს დაურეკა. ვერამ ყურმილი აიღო და არჩილის ხმა რომ გაიგონა, საყვედურებით აავსო, რატომ ჩემთან არ მოხვედი, მე და ჩემი გოგო გელოდებით, მოდი ჩქარა. არჩილმა ბოდიში მოუხადა, სასწავლებელში მორიგეობა მოიმიზეზა. ფიქრობდა, ახია ჩემზე, ქუჩაში რომ ვაგდივარ, რას ვუწუნებდი ნეტავი ვერას. ის არჩილზე გაგიჟებული იყო, მაგრამ ასეა, როდესაც ქალი კაცზე ჭკუას კარგავს, მაშინ კაცი სხვა რომანს ეძებს... ეს შეიძლება ითქვას ქალთა სქესზეც... ამ ფიქრებში იყო არჩილი, რომ მის წინ ტროტუარზე ჩამომჯდარი ახალგაზრდა დაინახა. მას თავი ჩაექინდრა, არჩილმა მას ხელი მოჰკიდა, თავი ააწევინა. ახალგაზრდა ნასვამი იყო. ის წამოაყენა და სახლში მიცილება შესთავაზა. უცნობი ყმაწვილი თურმე ახლოს ცხოვრობდა. არჩილმა ის სახლისკენ წაიყვანა. ვოვა მეათე კლასის მოსწავლე ყოფილა. არჩილს მოუყვა, რომ კლასელები ახალ წელს ერთად შეხვდნენ, მისი გოგო კი სხვასთან ცეკვავდა... მანაც გაბრაზებულმა ზედმეტი დალია. არჩილმა დაარიგა, კაცი ასეთ დროს კი არ უნდა მოეშვას, არამედ, პირიქით, თავი ხელში უნდა აიყვანოს და არ მიაქციოს ყურადღება ქალის ამგვარ საქციელს. მშვენიერი ბიჭი ხარ და ქალების მეტს რას ნახავ, დააიმედა. ამასობაში ისინი მის სადარბაზომდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივიდნენ. ვოვამ ზემოთ აყოლაზე არჩილს უარი უთხრა, ფანჯარას გავაღებ და ხელს დაგიქნევო. ასეც მოიქცა. ზემოთ ავიდა, ცოტა ხნის შემდეგ ოთახში სინათლე აანთო, ფანჯარა გააღო და არჩილს ზემოდან ხელი დაუქნია. არჩილი კმაყოფილი დარჩა. მან გზა განაგრძო... ახალ წელს ლენინგრადი უთოვლოდ შეხვდა. არჩილმა საათს დახედა. ამასობაში სამი საათი გამხდარიყო, ბინაში დაბრუნდა. წყვილს ჩასძინებოდა. არჩილი სავარძელში მოკალათდა და მალე ჩაეძინა.

გათენდა დილა, ყველანი ადგნენ, არჩილმა მათ ახალი წელი მიულოცა.

პაშას მეგობარმა ქალმა არჩილს უთხრა, დღეს ნასადილევს ერთ ექიმ დაქალს დავურეკავ, ის ძალზედ მოგეწონება, მაგრამ ერთი რამ არის, მას თუ არ მოეწონე, ახლოს არ გაგიკარებს. დილას კარგად ისაუზმეს. შუადღეც დადგა. გალინამ ნატაშას დაურეკა, მაგრამ ტელეფონი არ პასუხობდა. შვიდი საათი იქნებოდა. გალინამ ისევ დარეკა, ამჟამად ყურმილი აიღეს. ვერა, ეტყობა, ბავშვს ესაუბრებოდა, საშენკა დედაშენს სთხოვეო, ტელეფონთან ნატაშა მივიდა, დაქალებმა ერთმანეთს ახალი წელი მიულოცეს, შემდეგ ვერამ აუწყა, რომ მასთან ორი მეგობარი იყო და თავისთან მიიპატიჟა. ეტყობა, იქიდან მიწვევაზე უარი მიიღო. ვერა სთხოვდა, მარტო ნუ დამტოვებო. ამ დროს არჩილმა ვერას ტელეფონის ყურმილი გამოსტაცა ხელიდან და ნატაშას დაუწყო საუბარი, ახალი წელი მიულოცა, მერე უთხრა, მაიორი ტომინი ვარო, ოღონდ ქართველი (იმ პერიოდში რუსული ტელესერიალები გადიოდა "დელა ვედუტ-ზნატოკი"), მერე არჩილმა ანეგდოტი მოუყვა ახალ წელთან დაკავშირებით, ნატაშა იქიდან იცინოდა, შემდეგ არჩილმა ჰკითხა, გავაგრძელო ანეგდოტების მოყოლაო? ნატამ თანხმობა განუცხადა. მაშინ არჩილმა ჰკითხა, თუ მობრძანდებით, გავაგრძელებო. ქალს ორჭოფობა შეატყო. არჩილმა დასძინა, მე უკვე თქვენს წამოსაყვანად მოვდივარო და ყურმილი დადო. მერე ვერამ მისამართი მისცა, არჩილმა პალტო და ქუდი აიღო და გარეთ გავარდა, ტაქსში დაჯდა და მისამართზე მივიდა. ტაქსი არ გაუშვა, მეორე სართულზე ავიდა, კარი ნატაშამ გაუღო. იგი ჩექმებს იცვამდა და მათ შეკვრას აპირებდა. არჩილმა შოკოლადები ამოიღო, ახალი წელი მიულოცა, შემდეგ საშკასთან მივიდა და მოეფერა. ნატაშა ეფექტიანი ქალი აღმოჩნდა, რუსული სილამაზით დაჯილდოებულს და მიმზიდველი გულმკერდის პატრონს ლამაზი კოფტა ამშვენებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტანი კი გიტარას მიუგავდა. არჩილმა ფეხი მოიდრიკა და გალანტურად მიმართა, ნება მიბოძეთ, ჩექმების შეკვრაში დაგეხმაროთო. ფეხზე შეეხო, ქალი არ გაუძალიანდა, ნატაშა გაკვირვებული ჩანდა. არჩილმა ორივე შესაკრავი შეკრა, ქურქი სკამზე რომ იყო გადადებული, აიღო და ტანთ ჩააცვა. იცოდა, ასეთი მოპყრობით ქალს მისდამი განაწყობდა, მერე ბავშვს მიმართა, საშა, რას უდგეხარ, შენ ხომ ქალი არა ხარ, ჩაიცვიო. მაშინ ნატაშამ ამოიღო ხმა, არა, ბავშვი სახლში დარჩება, უფროსებთან რა ესაქმებაო, მერე ბავშვი დაარიგა, აბა, შენ იციო და ლოყაზე აკოცა. არჩილმა საშას უთხრა, თუ დედაშენი ნებას დამრთავს, აუცილებლად გნახავო. ნატაშას გაეცინა და არჩილს ღიმილით მიმართა, Ну ты знаток женской фсихологии. და სახლიდან გამოვიდნენ. არჩილმა ტაქსის უკანა კარი გააღო, ქალი წინ შეუშვა და თვითონ გვერდით მიუჯდა, მერე ტაქსისტს მისამართი უთხრა და სთხოვა გზაში, გასტრონომთან გაეჩერებინა. როცა მანქანა გასტრონომთან გაჩერდა, არჩილი ჩამოვიდა და მალე ბოთლებიანი ყუთით დაბრუნდა. ტაქსისტმა საბარგული გაუხსნა და შიგ მოათავსა. ქალმა იკითხა, ეს ამდენი რა იყიდეო? არჩილმა მიუგო, რომ ის ღვინო იყო, და აუხსნა სუფრასთან ქართველები მხოლოდ ღვინოს სვამენ, რათა სუფრა ხანგრძლივი იყოსო. საუბარში ტაქსისტი ჩაერია, Не то что наш брат, водку выйпет, раз два и сразу на боковую. მანქანა მისამართზე მივიდა, ნატაშა და არჩილი გადმოვიდნენ, ქალი წინ გაატარა, ხოლო არჩილი ღვინიანი ყუთით მას მიჰყვა.

დაქალები ერთმანეთს გადაეხვივნენ. პაშამ ნატაშას დანახვაზე კინაღამ პირი დააღო. ქალს ხელი გაკვირვებულმა ჩამოართვა. ეს ქალებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. ვერამ ისიც უთხრა, პაშა გამოიღვიძეო...

სუფრა გაწყობილი იყო. მოსულებმა პალტოები გაიხადეს და მაგიდას მიუსხდნენ. სუფრას არჩილი თამადობდა, ნატაშა გვერდით ეჯდა, ის თავს ევლებოდა ქალს, მისი ხელითვე აჭმევდა, ისინი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ყოფილიყვნენ. არჩილი სადღეგრძელოების გარდა ანეგდოტებს ყვებოდა და სუფრას ამხიარულებდა. მოკლედ, ნატაშა არჩილით მოიხიბლა, ხოლო ცეკვის დროს მთლიანად მიენდო მას. ქალმა ხელი კისერში მოხვია და ფერება დაუწყო, ნატაშა მზად იყო არჩილს დანებებოდა... როდესაც არჩილმა იგი მეორე ოთახში გაიყვანა და ფერება დაუწყო, ნატაშამ სთხოვა, ჩემთან წავიდეთ სახლში, შენ ხომ საშკას ნახვა გინდოდაო და ლოყაზე აკოცა.

არჩილმა ტაქსი დაიჭირა და ნატაშასთან ბინაზე ავიდნენ. ბავშვს ეძინა. მასპინძელი ქალი ძალზედ ალერსიანი გამოდგა, არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩილმა პირველად იგრძნო ქალის ასეთი გიჟური ალერსი, ფეხის ფრჩხილიდან დაწყებული ქოჩრამდე ყოველივეს უკოცნიდა, მოკლედ, არჩილს ნატაშამ ყველა ქალის ალერსი დაავიწყებინა... საშკა არჩილს დაუმეგობრდა. ისინი კვირაობით საიგურაო მოედანზე ჰოკეისაც თამაშობდნენ. მოკლედ, დედა-შვილს არჩილი ძალზედ შეეჩვია. ნატაშა ერთგული მეგობარი გამოდგა, არჩილს მისი ადამიანური, მეგობრული დამოკიდებულება და სითბო დღესაც ახსოვს, მას დიდი პატივისცემით იხსენებს.

ყავაზე მარჩიელობა

არჩილი და გიზო ზაფხულში დასასვენებლად სამი დღით ბათუმში ჩავიდნენ. დილას ზღვაზე ინებივრეს, შემდეგ ისადილეს და ექვსი საათისთვის, დაკრონის შარვალ-კოსტუმში გამოწყობილებმა ბათუმის ზღვისპირა პარკს მიაშურეს. საერთოდ, გიზოს მოდურად ჩაცმა უყვარდა, მას თავისი მკერავი ჰყავდა ვაკეში, სახელად თენგიზი და ტანისამოსსაც მას უკვეთავდა, არჩილიც იქ დადიოდა. ასე რომ, ამ მხრივაც მეგობრები ერთმანეთს არ ჩამორჩებოდნენ.

ერთ დღეს ყავის დალევა გადაწყვიტეს. ყავა განსაკუთრებით გიზოს უყვარდა. ინტურისტის კაფეში შევიდნენ, ცარიელი მაგიდები არ იყო, ერთ მაგიდასთან კი ორი ახალგაზრდა რუსი მანდილოსანი იჯდა. არჩილი მათთან მივიდა და ჰკითხა, ხომ არ შემოგვისტუმრებთო, სანაცვლოდ დაჰპირდა, ყავაზე გიმარჩიელებთო. ამან ქალებში დიდი ინტერესი გამოიწვია, ისინიც სიამოვნებით დათანხმდნენ. არჩილის თხოვნით ფინჯანები გადაატრიალეს და ფინჯანს ყავა რომ შეაშრა, არჩილმა მარჩიელობა დაიწყო. „მარჩიელმა“ ქალების ფსიქოლოგია ძალზედ კარგად შეისწავლა, იცოდა, რომ ლამაზ ქალს აუცილებლად ეყოლებოდა თაყვანისმცემლები, ან გაცრუებული სიყვარულის გამო იქნებოდა გულნატკენი და ამას მარჩიელობისას წარმატებით იყენებდა, შემდეგ მაჟორულ ნოტზე ამთავრებდა მარჩიელობას, რჩევის მსურველს აიმედებდა, რომ იგი აუცილებლად იპოვნიდა გულისსწორს (ეს გაუთხოვრებს ეხებოდათ), ახლო მომავალში გამოიცვლიდა ცხოვრების წესს და ასე შემდეგ. ქალბატონები კმაყოფილები დარჩნენ. როცა გაიგეს, რომ ბიჭები მეორე დღეს თბილისში მიფრინავდნენ, მათთან დაშორება ეძნელათ. ოლგამ და ნატაშამ ისინი პანსიონატში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიიპატიჟეს – კონიაკიც გამოუტანეს, მაგრამ სტუმრებმა სასმელს პირი რომ არ დააკარეს, ქალები გაოგნებული დარჩენ, გაიკვირვეს, როცა მამაკაცები მათ ბოდიშის მოხდით დაემშვიდობნენ. ოლგამ და ნატაშამ არჩილსა და გიზოს თავიანთი მოსკოვური მისამართები მისცეს და სთხოვეს, თუ შეიძლება, ხვალ თქვენი თავი გაგვაცილებინეთო.

მეორე დღეს გოგონებმა მეგობრები გააცილეს, ნატაშას (იგი ძალიან მგრძნობიარე ქალი აღმოჩნდა) ცრემლები მოადგა თვალებზე. თქვენი გაცნობით დასვენება წაგვიშხამეთო, ამ სიტყვების მნიშვნელობა ბიჭებმა ვერ გაიგეს...

ზაფხული გავიდა და შემოდგომაც მთავრდებოდა. მეგობრები სასწავლო გრაფიკით სწავლობდნენ და საქართველოს პირველობაზე თამაშობდნენ. ნოემბრის დასასრულს არჩილმა მოსკოვიდან წერილი მიიღო (მას წერილებს ხშირად უგზავნიდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქალაქებიდან). ნატაშა სწერდა, შენმა ყავაზე მარჩიელობამ გაჭრა, ბინა მივიღე და სტუმრად გპატიჟებო, არჩილმა წერილი გიზოს წააკითხა, გიზომ და მისმა ძმებმა ვერდიქტი გამოიტანეს, არჩილი მოსკოვში უნდა გადაფრენილიყო. გიზომ დასძინა: ასეთი ლამაზმანის მოწვევაზე ერთი წუთითაც არ დავყოვნდებოდიო. მერე საჩუქარზე მიდგა საქმე. ბიჭების რჩევით არჩილმა ყავის ჭიქების სერვისი იყიდა და მეორე დღეს მოსკოვში გაფრინდა, მითითებულ მისამართზე მივიდა, ღილაკს თითი აღელვებულმა დააჭირა. კარი გაიღო, არჩილის წინ საშუალო ტანის, სიმპატიური ახალგაზრდა კაცი იდგა. არჩილი შეცბა, მაგრამ უკან არ დაიხია. ის ხომ დაპატიჟებული იყო და მას ელოდებოდნენ. ნატაშა იკითხა. ნატაშა სახლში არ გახლავთ, – მიუგო მამაკაცმა და ჰკითხა, თქვენ არჩილი ხომ არ ბრძანდებით თბილისიდან? დიახ, – მიუგო არჩილმა. ახალგაზრდამ გაუღიმა, არჩილს ხელი მოჰკიდა და ოთახში შეიყვანა, პალტო და ხელჩანთა ჩამოართვა, მაგიდასთან მიიპატიჟა, ბოდიში მოუხადა და სამზარეულოში გავარდა, მალე იქიდან ღვინისა და არყის ბოთლებით და მისაყოლებლით დაბრუნდა. სანამ ქალები მოვლენ, ამით დავიწყოთო. არჩილმა გაიფიქრა: ალბათ, ძმა არის ან ნათესავია ნატაშასიო. აბა, ისე სახლში ვინ იქნებოდა? მალე ნატაშაც მოვიდა, არჩილს გადაეხვია, შემდეგ სამზარეულოში დატრიალდა. მალე ნატაშას დედაც მოვიდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემდეგ ნატაშამ ტელეფონით დარეკა და ვიდაცები მოიპატიჟა, მალე სტუმრად სამი ქალი მივიდა, ისინი ძალიან ლამაზები იყვნენ. ერთი მათგანი – ვერა – მათ შორის ყველაზე მშვენიერი იყო.

მასპინძლებმა სტუმრები სუფრასთან მიიპატიჟეს. თამადობა არჩილს მიანდეს, როგორც თამადების ქვეყნიდან ჩამოსულს. არჩილმა მშვიდობისა და ბინის მიღების სადღეგრძელო შესვა, შემდეგ ნატაშას დედა ადღეგრძელა,.. ნატაშას სადღეგრძელო როდესაც წამოიწყო, ნატაშამ სერგეის ტუჩებში აკოცა, მაშინ მიხვდა არჩილი, რომ სერგეი ნატაშას ქმარი იქნებოდა და მართალიც აღმოჩნდა. ნატაშამ უთხრა, რომ ისა და სერგეი ერთი თვის შეუღლებულები იყვნენ. არჩილს გაეღიმა, პირველი პაემანი გაახსენდა, მოსკოვში, წიგნების მაღაზიაში რომ გადახდა. გოგონებმა ნატაშას ყავის მოდუღება სთხოვეს, არჩილი გვირჩევსო. არჩილმა სიცილი ვერ შეიკავა, ქალებს მისი ბედნიერი ფეხისა და იმ პირველი პაემნის ამბავიც მოუყვა. არჩილი ახლა იმაზე ფიქრობდა, რა ეთქვა, როცა თბილისში ჩავიდოდა... თუმცა ბედი სწყალობდა... ნატაშა და მისი დაქალები პიანისტები იყვნენ. არჩილმა გიტარა მოითხოვა, ნატაშას გიტარა არ ჰქონდა, ვერამ არჩილს უთხრა, მე მაქვს სახლში გიტარა. იგი მალე ვერასთან აღმოჩნდა ბინაში, ოთახში შესვლისთანავე არჩილმა ვერას გიტარა შეახსენა. ვერამ გაიცინა, შენ ხვალ გაფრენას აპირებ და რომელი ნორმალური ქალი გაუშვებს ასეთ შემთხვევასო. ქალმა პალტო გაიხადა, იქვე სავარძელზე მიაგდო, არჩილსაც გახადა და მის ტუჩებს დაეწაფა... არჩილმა ,,ვერას გიტარაზე“ გაცილებით უკეთ დაუკრა და ის დილამდე აკვნესა... არჩილს მოსკოველი ნატაშას დარიგება მუდამ ახსოვდა, თუ ქალი ლოგინში ჩაიწვინე, კეთილი ინებე და ეცადე, მასთან ბოლომდე დაიხარჯო და ძალზედ ასიამოვნო, რომ შენში შეუდარებელი და განუმეორებელი მამაკაცი დაინახოს, ის არასოდეს დაგივიწყებს და არ გიღალატებსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის ტკივილის წამალი

არჩილი ინსტიტუტის შემდეგ ჯარში მოხალისედ წავიდა, მერე კი სამსახურიც დაიწყო. ქალაქში ბევრს იცნობდა და საკმაო ავტორიტეტითაც სარგებლობდა. ერთხელ ერთ-ერთ წარმოებაში, ასეთი კი გასულ საუკუნეში ქალაქში ბევრი იყო, ერთმა ნაცნობმა ლამაზმა მდივანმა ქალმა არჩილს თავის ტკივილის წამალი სთხოვა და სახელწოდება ჩააწერინა, ეს წამალი უცხოურია და ძნელად იშოვებაო. არჩილი პუნქტუალური გახლდათ, თან აფთიაქებში ნაცნობებიც ჰყავდა. მივიდა ერთ აფთიაქში და აფთიაქარს წამლის სახელწოდება უთხრა. მან კი გაკვირვებულმა შეხედა არჩილს და ჰკითხა, ვისთვის გინდა? ცოლისთვის, – მიუგო არჩილმა. რამდენი ბავშვი გყავს? – ჰკითხა ნაცნობმა. ერთი მყავს – სამი წლისაა. მეტი შვილი არ გინდა? რომ გყავდეს? – ჩაეკითხა აფთიაქარი, – თავის ტკივილის კი არა, როგორც შენმა ცოლმა გითხრა, არამედ, ფეხმძიმე ქალის მოსაშლელი საშუალებაო! გაცოფდა არჩილი, დაიბნა, ბოდიში მოუხადა და შერცხვენილი გამოვიდა.

არჩილი მიხვდა, ირმას ქმარი ზღვაში იმყოფებოდა და ვიღაც მამაკაცთან საქმე დაეჭირა. არადა, ულამაზესი ტანწერწეტა, ქერათმიანი 23 წლის ქალი იყო, ერთი ბავშვი გოგონა ჰყავდა. არჩილმა ბოღმა დამალა, „თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო“, – გაიფიქრა დაბოღმილმა, მივიდა მასთან და უთხრა, როგორც იყო საქმე და აუწყა, რომ ასეთი პრეპარატი ჯერ მიღებული არ აქვთო, მაგრამ მე ძმაკაც ექიმს მივმართე და დახმარება აღმითქვაო. ირმამ სასწრაფოდ სთხოვა, რომ ექიმი დახმარებოდა, არჩილმა უთხრა, საავადმყოფოში შენ არ გაწყობს მისვლა, ქალაქი პატარაა და ექიმმა მითხრა, შაბათს მომიყვანე სახლშიო. ასეთი ვარიანტი ირმას აწყობდა და მყისვე დათანმხდა. არჩილმა კი ერთ გურულ მეგობარს ბინა სთხოვა. შაბათობით ის სოფელში დადიოდა. მოკლედ, არჩილი მზად იყო ირმასთვის „სამაგიერო“ გადაეხადა. დათქმულ დროს ირმამ გადააცილა,როცა მოვიდა,მას ფოთლისფერი ლამაზად გაწყობილი კაბა ეცვა. არჩილმა ის რომ იხილა, სული შეეკრა , კაბა გამჭვირვალე იყო და ირმას ნაკვთები უჩანდა... ამდენი ქალის მნახველი არჩილი აფორიაქდა, ირმამ ექიმი მოიკითხა, არჩილმა უთხრა: გიცადა და წავიდა, შემდეგ შაბათისთვის დაგიბარაო, მერე კი “ექიმის” ნათქვამი გადასცა: ვინც მაგი აგკიდა, იმასვე გამოასწორებინე საქმეო. – როგორ? – იკითხა ირმამ, –როგორ და უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგანჯღრიოსო. ისე, მაგ საქმეს არ გადავდებდიო, – ურჩია არჩილმა. – არც ვაპირებ მაგის გადადებასო, მიუგო ირმამ. სუფრაზე არჩილს ლიქიორი ედგა, ტკბილეულობასთან და ხილთან ერთად, დაუსხა ირმას და მიაწოდა, შემდეგ თავისთვის მეტი დაისხა და ბოლომდე შესვა. ირმამ სასმელი დალია და ლოგინთან მივიდა, არჩილი მიუახლოვდა. ხელი არ მომკიდო, კაბას მე თვითონ გავიხდიო, უთხრა ქალმა. გახდილი კაბა სკამზე გადაჰკიდა, ნახევრადშიშველი ლოგინში შეწვა. არჩილმა გაიხადა და მოფერებას აპირებდა, ერთი აკოცა, ირმამ ტუჩები გაითავისუფლა და არჩილს ჰკითხა, შენ აქ უნდა მეფერო, თუ ექიმმა რომ დაგიბარა, უნდა დამანჯღრიო, ხომ არ დაგავიწყდა? არჩილს გაეცინა და „საქმეს“ შეუდგა. მალე ირმა ორგაზმის მორევში გადაეშვა... მეორე დღესაც გაგრძელდა “მკურნალობა”, “მკურნალობამ” შედეგი გამოიღო...

იმ წარმოებაში არჩილს მეგობარი ქალი ლუდა ჰყავდა, და არჩილი მისი „მუჟაზამენიტელი“ (ქმრის შემცლელი) გახლდათ, ასე ეძახდა არჩილს ლუდა,რომლის მეშვეობითაც გაიცნო ირმა,როგორც სანდო ადამიანი, შემდგომში არჩილი ორი ქალის „მუჟაზამენიტელობას“ ითავსებდა კარგხანს.

შურისძიება

ბათუმში შუა ზაფხული იდგა, უამრავი სტუმარი ეწვია ქალაქს.. სანატორიუმები დამსვენებლებს ვერ იტევდა, ასეთივე მდგომარეობა იყო კერძო სექტორშიც. არჩილის ერთ ნათესავთან ხუთი ქალი ისვენებდა. ერთ-ერთ მათგანს დასვენების ვადა უმთავრდებოდა და მის საპატივცემულოდ საღამოს სუფრა იყო გაშლილი. ლენინგრადელ სვეტლანას არჩილი შორიდან იცნობდა, რამდენიმეჯერ ნათესავთან შეიარა და იქ ნახა. საღამოს სუფრას არჩილი და მისი ამხანაგი გოგიც შეუერთდა, სვეტლანა სოხუმში უნდა ჩასულიყო და იქიდან დაქალთან ერთად სამშობლოში უნდა გამგზავრებულიყო. არჩილს ძალზედ მოსწონდა ეს ქალბატონი და მას სოხუმამდე ჩაყვანა შესთავაზა, ზუგდიდში მივდივარ და იქიდან კი სოხუმი ახლოს არისო. მოკლედ, წასვლაზე შეთანხმდნენ. დილის ცხრა საათზე არჩილმა მანქანით მიაკითხა და ეზოში შევიდა, იქ ერთ-ერთი დამსვენებელი შეეგება და არჩილს აუწყა, სვეტლანას დილით თქვენმა მეგობარმა გოგიმ მოაკითხა და წაიყვანაო, ასე თქვა, არჩილს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუძლია ქალაქიდან გამგზავრება და მე გამომიშვაო. არჩილს მწარედ ჩაეცინა. მიხვდა, გოგიმ რომ გააცურა. ერთით ნული, ჩემო გოგი, შენს სასარგებლოდო, გაიფიქრა არჩილმა და თავის გზას გაუდგა...

მალე გოგიც გამოჩნდა, არჩილს ბოდიში მოუხადა და „ვალის“ გადახდა დაჰპირდა, – ქალი თავისი რესტორნით. გოგი თუ ვინმეს მოიხელთებდა, იმას ხელიდან არ გაუშვებდა... ერთი თვე არ იყო გასული, რომ გოგიმ არჩილს დაურეკა და ორი დონეცკელი მანდილოსანი გააცნო, ისინი საღამოს კაბებში იყვნენ გამოწყობილი. ერთი ქერათმიანი იყო, მეორე კი ბერძენს ჰგავდა. გოგის კარგი გემოვნება ჰქონდა, თვითონაც სიმპატიური იყო, რომ იტყვიან, "ნადავლიც" შესაბამისი გახლდათ. არჩილი მანქანიდან გადმოვიდა, ქალებს გაეცნო, ავტომანქანაში ჩასვა და კარებიც თავაზიანად მიუხურა. მან ქალები თავისი ზრდილობით მისდამი სიმპატიით განაწყო, რესტორან „აფხაზეთში“ მივიდნენ. აქ ორივე ამხანაგს კარგად იცნობდნენ, არჩილის გამოჩენაზე ორკესტრი ჩერდებოდა, თუ მუსიკას უკრავდნენ, არჩილის საპატივცემულოდ „ჩიტო გვრიტოს“ წამოიწყებდნენ, ამით მას მუსიკოსები ავტორიტეტს უმაღლებდნენ. ეს ქალის „შებმის“ ერთ-ერთი საშუალება გახლდათ. არჩილი ამ მუსიკოსებს ძმაკაცობდა და სამუშაო საათების შემდეგ ხშირად მათ სახლებშიც არიგებდა. ასე რომ, შეძლებისამებრ ერთმანეთს პატივს სცემდნენ.

ამჯერადაც ასე მოხდა, პურმარილი გოგის წინასწარ ჰქონდა შეკვეთილი. სასმისები შეისვა, ბახუსმოკიდებული ქალები საცეკვაოდ განეწყვნენ, მეგობრებმა ისინი გაიწვიეს... ცეკვის დროს ქერათმიანმა ნადეჟდამ გოგის კისერზე მოხვია ხელები და თითქმის მასზე მიკრული ცეკვავდა, იქვე არჩილიც თავის ქალთან ერთად ცეკვავდა. ამ დროს გოგი ნადეჟდას კინოს შინაარსს უყვებოდა, აზარტში შესულმა გოგიმ ქალი თავისგან მოიშორა და ხელებით ავტომატის ჯერი დასცალა, ისეთი ხმით, რომ თითქმის მუსიკა გადაფარა. (გოგის ომის ამსახველი ფილმების ყურება და მათი შინაარსის მოყოლა, ძალიან უყვარდა). ამჯერად გოგი ნადეჟდას შტირლიცზე უყვებოდა. გაოგნებული ნადეჟდა გაქვავებული იდგა, მოვლენათა ასეთ განვითარებას არ მოელოდა. ამ დროს გოგიმ ვიღაც ნაცნობი დაინახა და მათ მაგიდასთან მივიდა. არჩილმა ეს მომენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელიდან არ გაუშვა და ქალებს უთხრა, ნუ შეგეშინდებათ, ახალი გამოსულია საგიჟეთიდან, მაგრამ აგრესიული არ გახლავთ, ასე რომ, არაფერი საშიში არ არისო. გოგონებმა რაღაც ერთმანეთს გადაულაპარაკეს, შემდეგ ნადეჟდამ არჩილს სთხოვა, ძალიან გეხვეწებით, ისე ქენით, რომ მაგი ჩამოგვაშორეთ, მე და ჩემი მეგობარი კი ნომერში დაგიცდით და დროსტარება იქ გავაგრძელოთო. ისინი „მესხეთში“ ისვენებდნენ. გოგი მაგიდასთან მალე დაბრუნდა, არჩილმა უთხრა, სადამოს ცოტა საქმეები მაქვს და ადრე წავიდეთო, ქალებიც დაემოწმენ: ჩვენ თერთმეტის შემდეგ პანსიონატში არ შეგვიშვებენო. ასე რომ, ამხანაგებმა ქალები პანსიონატამდე მიაცილეს და დაემშვიდობნენ. არჩილმა გოგი სახლში წაიყვანა და ცოლს ჩააბარა, თვითონ კი პანსიონატში გაეშურა, იქ მისი თანასკოლელი იყო დირექტორი და ამ დაწესებულების მუშაკები მას კარგად იცნობდნენ. არჩილი ქალებთან ავიდა, მათ უკვე შხაპიც მიეღოთ, მაგიდაც გაწყობილი ჰქონდათ, მაგიდას მისთვის ცნობილი "პერცოვკა" ამშვენებდა. ქალები უკომპლექსონი აღმოჩდნენ, საკმაო დოზის მიღების შემდეგ, არჩილს ფერება დაუწყეს... დილას ადგა არჩილი და თავისთვის გაიფიქრა, რაო, ჩემო გოგი, მგონი ანგარიში ორით ერთი გავხადეო.

ტაშკენტში

არჩილი ტაშკენტში მივლინებით იყო ჩასული და ერთ-ერთ სასტუმროში ცხოვრობდა. მასთან ერთად ამავე სასტუმროში იმყოფებოდნენ მისივე დარგის სპეციალისტები, ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან. არჩილი სომხებთან ამხანაგობდა, ცოტა სომხურიც ესმოდა. ერთხელ საზაფხულო თეთრ კოსტუმში გამოწყობილი ფანტანებთან სეირნობდა. ამ დროს მარტოხელა ქალბატონი დაინახა თეთრ კაბაში შემოსილი, თავზე ფატა რომ ხურებოდა, გასათხოვი დედოფალი გეგონებოდათ. არჩილმა ცოტა ხნის ყურების შემდეგ დაასკვნა, რომ ეს ქალბატონი მარტო იყო. მასთან მივიდა, ზრდილობიანად მიესალმა. ქალს კავკასიური სახის სიმპატიური არჩილი მოეწონა და გაღიმებულმა, როგორც ნაცნობს, ხელი მიაწოდა. არჩილი მას ხელზე ეამბორა, ქალს ეუხერხულა და ხელი გაითავისუფლა. ერთმანეთი გაიცნეს, ნატაშაც მივლინებით ყოფილა ტაშკენტში ჩამოსული უზბეკეთის ერთ-ერთ ქალაქიდან, ის ექიმი გახლდათ, ისიც ქალაქს ათვალიერებდა. ასე რომ, გეგმა დაისახეს, ექსკურსიებზე თავისუფალ დროს ერთად ევლოთ. კარგა ხანს ისეირნეს და მერე ერთმანეთს დაემშვიდობნენ. შეხვედრა მეორე დღისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათქვეს და თეატრში წასვლაზე შეთანხმდნენ, მაშინ ტაშკენტში მოსკოვის ერთ-ერთი თეატრი იყო გასტროლებზე ჩამოსული.

შაბათი დღე იდგა, ისინი თეატრთან ხუთი საათისთვის შეხვდნენ. არჩილმა თეატრის სალაროს მიაშურა და ბილეთები იყიდა. იქიდან გამოსულმა ნატაშა ვერ დაინახა. იქვე თვალი მოჰკრა სომეხ კოლეგებს, მათ ქალი ალყაში მოექციათ და მის გაცნობას ცდილობდნენ. ნატაშამ არჩილი რომ დაინახა, მასთან მივარდა, ხელმკლავი გაუკეთა და ლოყაზე აკოცა, დაანახა, თუ ვის ეკუთვნოდა მისი გული. გაკვირვებულმა მამაკაცებმა გაიღიმეს, ერთმა შესძახა, – „ცავატ ტანემ, არჩილ ჯან, ვოტ ეტა ჟენშინა"! და ამ სიტყვებით წყვილს დაშორდნენ.

არჩილი სასტუმროში დაბრუნდა, სომეხი ამხანაგები მოუთმენლად ელოდებოდნენ. მათთან ოთახში მიიპატიჟეს, სახელდახელო სუფრაც გაშალეს, სომხური კონიაკი ჩამოასხეს და პატარა შესავლის შემდეგ, არჩილს უთხრეს, ბიჭო, კარგი რუსის ქალია ის შენი ნატაშა და რუსი დაქალებიც ეყოლებაო. არჩილმა აუხსნა, რომ ნატაშა მივლინებაში იმყოფებოდა და თან ბიჭებს სათანადო ინსტრუქტაჟიც ჩაუტარა. არჩილმა იცოდა, რომ ტაშკენტის დასვენების პარკში დედები კარუსელებზე და სხვა გასართობებზე ბავშვებს ართობდნენ და ურჩია, კამფეტები ეყიდათ და ბავშვებისთვის დაერიგებინათ, თანაც მათთან უშუალო საუბრებში ისინი გაიგებდნენ მათი მამების დისლოკაციას, ამასობაში აუცილებლად მოთამაშე ბავშვებს დედებიც მოიკითხავდნენ და მათ საშუალება მიეცემოდათ ამოერჩიათ მოწონებული დედა. ამ მეთოდით, ქალიც საიმედო იქნებოდა და ყოველივე "ჩეპედან" ისინიც დაზღვეულნი იქნებოდნენ. სომეხმა მეგობრებმა არჩილის გეგმა მოიწონეს, ჭკვიანური გადაწყვეტილებააო.

შაბათი დღე იდგა. არჩილი მის ქართველ კოლეგასთან – ფოთელ იურისთან ერთად სეირნობდა. ამ დროს გაახსენდა გეგმა კოდური სახელწოდებით "კამფეტი" და იგი მის ამხანაგს გააცნო. პარკში გასვლა გადაწყვიტეს. არჩილს აინტერესებდა, როგორ მუშაობდა მისი ფანტაზიის ნაყოფით შემუშავებული გეგმა. როდესაც ბავშვთა მოედანს მიუახლოვდნენ, დაინახეს სომეხი კოლეგები, რომლებიც ბავშვებს კამფეტებს ურიგებდნენ, რიგში დედებიც იდგნენ. საახალწლო ნაძვის ხესთან მდგარ თოვლის ბაბუას რომ შეესევიან ხოლმე, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა ეს სანახაობა.

არჩილი სასტუმროში რომ დაბრუნდა, ოთახში ორი სომეხი მეგობარი ერთმანეთში საქმეს არჩევდა. შენ, რომ დაინახე „ჩემს ბავშვს“ სიმპატიური დედა რომ მიუახლოვდა, რატომ ამწაპნე თვალსა და ხელს შუა ის ქალი? კარგი, ძმაო, – უპასუხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

"დამნაშავემ", – ორ კილო კამფეტს გიყიდი და ანგარიშიც ამით გავასწოროთო.

ერთი ამბავიც გადახდა არჩილს ნატაშას გაცნობამდე. ბათუმში მის მეგობარ ზურიკოსთან ტაშკენტიდან ჩამოსული სტუმრები გაიცნო. მოკლედ, ერთ-ერთთან რომანი გააბა. ზღვაზე არჩილმა კაცი გადაარჩინა დახრჩობას და ამის თვითმხილველ ქალს იგი შეუყვარდა. ტაშკენტში რომ ჩავიდა, ქალს დაურეკა, იგი თურმე ქმარს შერიგებოდა, მერე არჩილმა მის დაქალს დაურეკა, მან არჩილი სახლში მიიპატიჟა. ამ ქალს მეშვიდეკლასელი შვილი ჰყავდა. როდესაც სახლში მივიდა, ქალმა სასწრაფოდ მისაღებიდან პირდაპირ შხაპში შეაგდო ჩაცმული. ვაი, გაფიქრა არჩილმა – მე დასავით ვუყურებდი, ის კი რას კისრულობსო და შხაპიდან დიდი ხანი არ გამოსულა. ატყდა კაკუნი, ამდენ ხანს რას აკეთებ? – დაუძახა მასპინძელმა ქალმა: რას იზამდა, გამოვიდა და როდესაც გაწყობილ სუფრასთან კაცი დაინახა, გაეღიმა. მერე აღმოჩნდა, რომ ის ყოფილი ქმარი იყო. თურმე ფლავს საპატივცემულო სტუმრებისთვის კაცები აკეთებენ და ქალმაც ფლავი თავის ყოფილ ქმარს გააკეთებინა. ამ საქმისთვის კი ყოფილი ქმარი მის ამჟამინდელ ცოლს "სთხოვა". არჩილს სიცილი აუტყდა და ისიც აუხსნა, შხაპიდან გამოსვლა რისთვის დაიგვიანა. მასპინძლებს სიცილი აუტყდათ.

''რეჟისორი"

ბათუმში 1980 წელს ქართული ფილმის "რაიკომის მდივნის" ეპიზოდებს იღებდნენ. ამ ფილმში არჩილის ამხანაგი ვახტანგი ეპიზოდურ როლში იყო დაკავებული. ვახტანგმა არჩილს კინომსახიობები გააცნო, რომლებიც ერთი თვის განმავლობაში სასტუმრო „ინტურისტში" ცხოვრობდნენ. არჩილს მათთან კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა. განსაკუთრებით ირაკლის დაუმეგობრდა, რომელიც ძალიან მოსწონდა ქალებს. არჩილს ერთმა ნაცნობმა ქალმა მისი გაცნობა სთხოვა, არჩილმაც სურვილი აუსრულა და „ინტურისტში" მიუყვანა ირაკლის, როდესაც ეს ამბავი სხვებმაც გაიგეს, არჩილს შეუჩდნენ, ჩვენც გაგვაცანი ვინმეო. არჩილმა მათ უპასუხა, როცა მთავარ როლში იქნებით დაკავებული, ქალები თვითონ გაგიცნობენ და თქვენთან თვითონ მოვლენო, გულში კი გაიფიქრა: ამ ხალხს სუტენიორი ხომ არ ვგონივარო...

საღამოობით არჩილი ხშირად აკითხავდა ირაკლის და ვახტანგს. ერთხელ, როდესაც მათთან ნომერში შევიდა, ვახტანგი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ირაკლი ვიღაც გოგოსთან ერთად სუფრას უსხდნენ. არჩილის დანახვაზე ვახტანგმა ლენას უთხრა,ასე ერქვა მას: აი რეჟისორიც მოვიდა და ეხლა გადაწყდება შენი ბედიო. თურმე მათ ეს გოგო დაუთრევიათ, ფილმში გადაგიღებთო, მაგრამ ვერაფრით დაარწმუნეს. არჩილმა საქალალდე მაგიდაზე დადო, გალსტუხი ოდნავ მოიშვა, დაჯდა და ლენას შეეკითხა,რის გაკეთება შეგიძლიათ? ყველაფრისო, – მიუგო გოგონამ. მერე არჩილმა ვახტანგს მიმართა, ადექი და ოპერატორის ადგილი დაიჭირეო, გოგოს ახლოს მიუჯდა და ჰკითხა, ვინმე ხომ არ გყვარებიათ? კიო,– მიუგო ლენამ. აბა, წარმოიდგინე, ის მე ვარ, თვალებში ჩამხედე და საკოცნელად მომიახლოვდიო, ვახტანგს შესძახა-„მატორ!"გოგონა არჩილის ბაგეებს მიუახლოვდა, ამ დროს არჩილმა წამოიძახა–შეჩერდით! არ ვარგა! გოგონამ ჰკითხა, რატომ არ ვარგაო, არჩილმა მიუგო – შენგან სიცივე მოდისო.

მოკლედ, რამდენიმე კადრი გაიმეორეს, კოცნაზე გადასულმა "რეჟისორმა" ქალი იმდენად აღაგრძნო, ეს კოცნა ნამდვილად იქცა. მსახიობებმა ნომერი ჩუმად დაცალეს... "კადრის გადაღების" შემდეგ ვახტანგმა და ირაკლიმ არჩილს შესჩივლეს, წვალებით დათრეული ქალი ცხვირწინ როგორ აგვწაპნეო, რაზეც გულიანად იცინეს.

ზაფხული იდგა. არჩილს ბათუმში ვახტანგი ესტუმრა თბილისელ და ფოთელ რეჟისორებთან ერთად. ვახტანგმა უთხრა არჩილს: ბიჭო, ქალები გაგვიჩალიჩეო, არჩილმა უპასუხა: მე ბორდელის დირექტორი ხომ არ გგონივარ? ნახე, რამდენი ქალია ჩამოსული, გაანძრიე ცოტა თავი, ენაც დააყოლე და საქმესაც ეშველებაო. ვახტანგმა „ინტურისტის" ამბავი გაახსენა, ლენა რომ „დააწერა" მას, მერე უთხრა: ბიჭებთან ნათქვამი მაქვს – სუპერია ქალების შებმაშიო. არჩილი რეჟისორებს გაეცნო, მათ მანქანაში კადრის გადამღები შავ-თეთრი ფანერის რეკვიზიტი დაინახა. არჩილმა ისინი პიონერთა პარკთან წაიყვანა, იმდროინდელი სასტუმრო "მესხეთის" წინ, რომელიც უნივერსიტეტის გვერდით იდგა. ჩამოჯდნენ პარკის პატარა ბორდიურზე, სავალ ტროტუართან და მანქანაც წინ დაიყენეს, ქუჩის პირას. არჩილმა ვახტანგს რეკვიზიტი ხელში დააკავებინა. ერთ-ერთი რეჟისორი წვეროსანი გახლდათ. მას გივი ერქვა, და ძალიან სანდო სახე ჰქონდა. არჩილმა უთხრა, მე რომ ქალს "მოვხსნი", შენ შეაფასე, ივარგებს თუ არა მთავარი როლის შესასრულებლადო და დაიწყეს სცენის გათამაშება. ვახტანგი აჩერებდა სიტყვებით: მოგესალმებათ „ქართული ფილმი", მიმდინარეობს ფილმის გადაღება, „კავკასიის სტუმარი ქალი", მიმდინარეობს მთავარი როლის შემსრულებლის შერჩევა. დადგა რიგი, არჩილი ძლივს ართმევდა თავს მომრავლებულ კანდიდატებს, ზოგს თმები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუწუნა, ზოგს სიმაღლე. როგორც იქნა ოთხი ქალი შეირჩა, ისინი წინასწარ გააფრთხილეს: გადაღებები ფოთის ერთ-ერთ რესტორანში მიმდინარეობს, შეიძლება იქ სასტუმროში დარჩენაც მოგიწიოთ და გააფრთხილეთ თქვენი ამხანაგებიო. ქალები დათანმხდნენ. მეორე დღეს ფოთიდან ჩამოსულმა რეჟისორებმა "მსახიობ ქალებთან" ერთად არჩილი რესტორანში მიიპატიჟეს. ქალები კარგ ხასიათზე იყვნენ და არჩილს უთხრეს: ასეთი "ფილმის" გადაღება ბევრს დაესიზმრებაო. ერთ-ერთმა ისიც ჰკითხა არჩილს: თქვენ ხომ რაიმე "ფილმს" არ იღებთო? არჩილმა ამაზე ღიმილით უპასუხა: მე მთავარი როლის შემსრულებელი უკვე დამტკიცებული მყავსო...

ვარდების თაიგული

აგვისტოს თვეში ბათუმი დამსვენებლებს ძლივს იტევდა, ზოგი ქალაქიდან მიემგზავრებოდა, ზოგიც ჩამოდიოდა. მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიწურული იდგა. არჩილს მისმა მეგობარმა გოგიმ სთხოვა მოსკოვის მატარებელზე რვა ბილეთი ეშოვნა დამსვენებლებისთვის. ერთ-ერთ დამსვენებელ ქალთან – ლუდასთან რომანი ჰქონდა და ბილეთების შოვნას დაჰპირებია. არჩილმა მას თხოვნა აუსრულა. დამსვენებლებმა გამგზავრებამდე ორი დღით ადრე სუფრა გაშალეს და გოგისთან ერთად არჩილიც მიიწვიეს. სუფრასთან ექვს მანდილოსანს და ორ რუს მამაკაცს გოგი და არჩილიც შეუერთდნენ.

თამადობა გოგის სთხოვეს და ისიც დათანხმდა. ქალებს მოსწონდათ დახვეწილი თამადის რიტორიკა. ერთ-ერთმა ქალმა ლუდას უთხრა: რა ბედნიერი ხარ, რომ ასეთი კაცი გაიცანიო...

არჩილმაც სადღეგრძელოებს მხარი აუბა და დასძინა: თამადობა ერის კულტურის განმსაზღვრელი ატრიბუტია და სადღეგრძელოებში როგორც სამშობლოს, ასევე საყვარელი ადამიანის სიყვარულია ჩაქსოვილიო. ამ სიტყვებზე ერთ რუს ახალგაზრდა სიმპატიურ მამაკაცს ირონიულად გაეღიმა, ამდენი ლაპარაკი რად უნდა დალევას, აიღე და გადაჰკარი არაყიო. მასთან მჯდომმა სიმპატიურმა ნადიამ მას ხელი ჰკრა და უთხრა, მოუსმინე და ისწავლე ქართველებისაგან, როგორ უნდა სუფრასთან მოქცევაო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მან უხეშად მიუგო, რით გაგაკვირვათ ამათმა საქციელმა, ბევრს რომ ლაპარაკობენ, ის მოგწონთ? ქალმა ამაზე გაბრაზებულმა მიუგო, შენისთანები ამას ვერ გაიგებენო. სუფრასთან მჯდომი მანდილოსნები მოხიბლულნი იყვნენ არჩილის სიტყვა-პასუხით და მათდამი მისი თავაზიანი მოპყრობით. ამ სიტყვებზე არჩილმა მამაკაცს მიმართა, კაცი ყოველთვის უნდა აკვირვებდეს მანდილოსანს თავისი რაინდული საქციელით. რუსმა მამაკაცმა ირონიით ჩაიქირქილა, რას აკეთებთ ქართველები ამისთანა გასაკვირსო. არჩილს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ეს ახალგაზრდა რუსი მამაკაცი თურმე ნადიას ეპრანჭებოდა. ეს ყოველივე სუფრის შემდეგ უთხრა ქართველ მეგობრებს ლუდამ.

სუფრასთან მჯდომ არჩილს ნადეჟდა მოეწონა, ისიც ხშირად მას შესცქეროდა და ნაზად უღიმოდა. დამშვიდობებისას არჩილი ყველა ქალს ხელზე ეამბორა, ნადეჟდას ხელს ხელი მოჰკიდა და ნაზად მოეფერა, ქალმა გაუღიმა და ლოყაზე აკოცა. ეს რომ დანარჩენმა ქალებმა დაინახეს, არჩილის სახე უმალ პომადით ააჭრელეს.

გოგიმ და არჩილმა დამსვენებლები გააცილეს. ლუდა იცრემლებოდა. არჩილმა ნადეჟდას სახეზე სევდა ამოიკითხა, ქალი არჩილს მისჩერებოდა, მალე მატარებელი დაიძრა და მათი სახეები გაუჩინარდნენ. გოგიმ არჩილი მწვადებზე მიიპატიჟა, თითო ბოთლის დასალევად, იმ რუსი მამაკაცის ნათქვამი ქართველების მიმართ არჩილს მოსვენებას არ აძლევდა, თან ნადეჟდას თვალების სითბომ დაწვა მისი გული. უეცრად სუფრასთან მჯდომმა გადაწყვიტა, ნადიას მოსკოვში დახვედროდა.

შაბათი დღე იდგა. თვითმფრინავის ბილეთი შეიძინა და საღამოს რეისით მოსკოვში გადაფრინდა წითელი ვარდების თაიგულით. ერთი ღამე ნათესავთან გაათია და მეორე დღეს მატარებელს დახვდა.

როცა ნაცნობი დამსვენებლები მატარებლიდან ჩამოვიდნენ და არჩილი იხილეს თაიგულით ხელში, სიხარულისაგან გაგიჟდნენ. ლუდა გადაეხვია და გულში ჩაიკრა, ის თვალებით მის გოგის ეძებდა, ხოლო ცრემლმორეული ნადეჟდა გაქვავებული უყურებდა არჩილს, არჩილმა თითო ვარდი ქალებს მიართვა, ნადეჟდას კი თაიგული გადასცა. მამაკაცები არსად ჩანდნენ. მერე დაემშვიდობა მათ და სადგურის გასასვლელისკენ გაემართა. ათი ნაბიჯი არ ჰქონდა გადადგმული,რომ უკნიდან ლუდას ხელმა შემოატრიალა. სად მიდიხარ, არჩილ, არ გრცხვენია, ნადეჟდა რად არ გეცოდება? – მე რა საერთო მაქვს მაგ ქალთან, მას მეგობარი ჰყავს. – იმას გზაში წაეჩხუბა და დაშორდა– დასძინა ლუდამ. ამ დროს მათ დანარჩენებიც შეუერთდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუდამ არჩილი და ნადეჟდა თავის სახლში წაიყვანა... მესამე დღეს არჩილმა და ლუდამ ნადეჟდა გორკში გააცილეს, არჩილი კი ბათუმში გადმოფრინდა.

არჩილი

არჩილმა ერთი რამ კარგად გაიგო ქალებთან ურთიერთობის დროს: მამაკაცების ნახევარზე მეტი არა თუ ეარშიყება ქალებს, სქესობრივი აქტის წინ არც კი ეალერსება მათ. ბევრი ქალი ინტიმური კავშირის წინ სიყვარულზე კი არა, ხშირად პირად პრობლემებზე ფიქრობს. ამიტომ მამაკაცმა ის უნდა განაწყოს სექსუალური აქტისთვის, ამისათვის ქალი პარტნიორს ნამდვილ მამაკაცად უნდა აღიქვამდეს, ის ქალისადმი უნდა იყოს მზრუნველი, კეთილი, შეეძლოს მისი დაცვა, ხშირად უნდა აკვირებდეს... ამ სიტყვებზე ჩავეკითხე, ამაში რას გულისხმობდა. მას გაეღიმა და განაგრძო, – ჩემო კარგო, ქალებს უყვართ მათ რომ ამჩნევენ, თუნდაც ქათინაურით, მაგრამ ეს არ უნდა იყოს გადატვირთული, გაიხსენა – ერთხელ მსახიობ ქალთან მეგობრობდა, მათ შორის ახლო კავშირი არ იყო, სახლში მიაკითხა, რათა რესტორანში წასულიყვნენ და არჩილის დაბადების დღე აღენიშნათ. სახლში რომ შევიდა, ქალი უკვე ჩაცმული დახვდა, ქალის შეკითხვაზე, როგორ გამოვიყურები? არჩილმა კარგად დახედა, გაუღიმა სანდომიანი ღიმილით და მიუგო – არა გიშავსო. ამ სიტყვებზე ქალი გადაეხვია... რის შემდეგ არჩილმა შიშველი ტანიც მოუწონა, რომელსაც ნაზად ეალერსებოდა, თურმე ქალს ყოველთვის ნაცნობი მამაკაცები დაუსრულებელი, ზოგჯერ კი გადამეტებული ქათინაურებით ტვინს უბურღავდნენ, რაც ხშირად, სიყალბეში გადადიოდა. აქ კი ქალმა დაინახა, რომ მამაკაცს ნამდვილად მოეწონა ის, წრფელი გულით იყო ყოველივე ნათქვამი, რამაც ქალზე იმოქმედა, არჩილიც მოსწონდა და "საჩუქარიც" მიართვა...

შემდეგ ისევ გააგრძელა. ერთხელ მას საყვარელი ქალი გაებუტა. შერიგების მიზნით ყვავილები მიართვა და სახლში ლარნაკში ჩადო. მეორე დღეს რომ მივიდა, ყვავილები ქალს გარეთ, გამოსასვლელში დაეყარა. არჩილმა ეს რომ იხილა, ისინი შუაზე გადატეხა და იქვე დატოვა. ერთი კვირის შემდეგ ისევ შეუარა და რას ხედავს! გადატეხილი ყვავილები ლარნაკში ეწყო და ქალი წყალს უცვლიდა. ასე რომ, ზოგჯერ ზედმეტი ყურადღება მამაკაცებისაგან ან პირიქით ქალიდან – დამღუპველია. არჩილმა მერე ისევ განაგრძო, – არსებობს ქალსა და მამაკაცს შორის ფიზიოლოგიური ორგაზმი, თუმცა ამას საფუძველი ეყრება არა უშუალო სქესობრივი აქტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს და არა როდესაც ქალს ეალერსება მამაკაცი, არამედ არშიყობის დროს, წყვილის კინოში, თეატრში ყოფნისას ან სეირობისას. ამ დროს იხვეწება გრძნობები, ექმნებათ წარმოდგენა ერთმანეთზე, ჩვევებზე, გატაცებებზე, მიდრეკილებებზე და ეს ყოველივე განაპირობებს წყვილის შედუღაბებას ერთ მთლიან სხეულად, სადაც მათ შორის ღალატი თითქმის გამორიცხულია. ასე რომ, ერთი რამ არის უეჭველი, ფიზიკური სიახლოვისათვის ქალს მომზადება ესაჭიროება. მას სიამოვნებს ქათინაური, ყურადღება, ყვავილების ჩუქება, ეს ის პირველი ნაბიჯებია ინტიმურ ცხოვრებაზე გადასასვლელად, რომელსაც სრულ ჰარმონიამდე – სარეცლამდე მიჰყავს წყვილი. მერე ირონიულად ჩაიცინა და გულდაწყვეტით განაგრძო... ერთხელ არჩილს ახალგაზრდა ქმარგაყრილ ქალთან ჰქონია გულახდილი საუბარი. ქალი ქმარს იმის გამო გაჰყრია, რომ იგი ყოველ სიტყვაზე თავის დედაზე იგინებოდა: „ჩემი დ... მ. . . ". დამატებით, უხეშიც იყო, ალერსი არ იცოდა, თავის "საქმეს" ძაღლივით მოითავებდა და ქალს მიატოვებდა.მასაც ამოუვიდა ყელში და გაშორდა ქმარს. არჩილს უკითხავს მისთვის, – როგორ, მარტო დარჩენას აპირებო? ქალს უპასუხნია, – გათხოვება კი მინდა, მაგრამ ცხვირმოუხოცავ ახალგაზრდას არ გავყვებიო. ჩემი დაქალი ასაკით უფროს მამაკაცს გაჰყვა, კურსელები ყველანი დავცინოდით, მათ შორის მეც, მაგრამ როდესაც ჩემი გაყრის მიზეზი ვუამბე, იმას თავის მეუღლის შესახებ მოუყოლია. ასაკით უფროს მეუღლეს ელეგანტური და ლამაზი არშიყი სცოდნია. თანაც ისე ლამაზად წარმართავს მოსამზადებელ პერიოდს, რომ ქალს აღელვებს და სქესობრივი აქტი ყოველთვის წარმატებით გვირგვინდება. ისიც აღიარა, რომ ორგაზმს სქესობრივი აქტის დაწყებამდის აღწევს, ტკბობისაგან თავბრუ ესხმის და მეცხრე ცაში დაფრინავს..

არჩილმა დედის გინებასთან დაკავშირებით ერთი ამბავი მომიყვა. მისი სომეხი მეგობარი ედუარდი ამბავს შესწრებია, თურმე ორი ახალგაზრდა ხმამაღლა „უკუღმა" იგინებოდა. ამაზე იქვე ჩაძინებულ ნასვამ რუსს გაუღვიძია, მისულა მათთან და თავისი გატეხილი ქართულით მიუმართავს: „გამარჯოპატ! ბიჩებო, ჩემი დედა არა, შენი დედა მო... სცორია..."

ვაი ასეთ ქართველს, სხვა ეროვნების კაცი რომ გასწავლის სწორად აზროვნებას. სხვას ვერ დააბრალებ რაიმეს, ჩვენივე ბრალია ყოველივე, რაც კი თავს დაგვატყდა. ამ უზნეობას მაგრად უნდა დავხვდეთ და ამოვძირკვოთ ძირფესვიანად, თორემ მთლად გადავგვარდებით!

არჩილს ერთ მეგობარ ახალგაზრდა ქალთან გულახდილად უსაუბრია. ის ერთ-ერთ სასტუმროში "მუშაობდა". მასთან საუბარში ბევრი რამ გაუგია. თურმე მამაკაცთა უმრავლესობას ქალის ეროგენულ ზონებზე წარმოდგენა არ აქვს. საერთოდ, ოცზე მეტი ეროგენული ზონაა ცნობილი. არის შემთხვევა, როდესაც ქალს ეროგენული ზონები არ გააჩნია. სამწუხაროდ, მამაკაცებმა დაახლოებით ხუთამდე ეროგენული ზონის შესახებ იციან, პრაქტიკულად კი სამი ზონით შემოიფარგლებიან. ისიც შეიძლება, რომ ქალს სამი ძირითადი ზონიდან ორი ზონა სულ სხვა ადგილას ჰქონდეს და მამაკაცი, რომელიც "მოქმედებს", საერთოდ არ აღაგზნებდეს, მაგრამ ხშირად ამგვარ შემთხვევაში ქალი იწყებს აგზნების იმიტაციას.

საერთოდ, ხშირად ქალი იმიტირებს. ეს ხერხი ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტესა და ბაბილონში იყო ცნობილი. ქალები ამგვარ ხერხს ხშირად მიმართავენ, როცა მამაკაცთან ანგარებით წვებიან. საყვარელი ჰყავს და ხელიდან გაშვება ეძნელება, ანდა ქმარი უყვარს და არ უნდა ოჯახი დაშალოს.

ბოლოს არჩილმა დასძინა, ქალი დიდი ფენომენია. ამიტომ მას ძალიან სათუთად მოპყრობა სჭირდება. ძალიან ძნელია ქალის ფსიქოლოგიის გაგება, ამიტომ ახალგაზრდა მამაკაცებს და არა მარტო მათ, ვურჩევდი სათანადო ლიტერატურაში ჩაიხედონ,რათა გაერკვნენ ქალთან ურთიერთობაში და თუ რაიმე სერიოზული პრობლემის წინაშე დადგებიან, არ მოერიდონ და სექსოლოგსაც მიმართონ...ისე, მამაკაცებმა რომ იცოდნენ, თუ რაზე ფიქრობენ ქალები, მაშინ ისინი უფრო თამამნი იქნებოდნენ...

მერე გავუღიმე და ორაზროვნად მივმართე, ჩემო არჩილ, ამჟამად თავს როგორ გრძნობთ-მეთქი? იგი სათქმელს მიმიხვდა და მიპასუხა - მაგ „საქმისათვის" ქალმა დიდი ხანია ჩამოიწერა თავი, ხომ გაგიგია: „ბებია - აკვანთან, ბაბუა - სხვა ქალთან", ჩემი ტოლი ქალბატონებიც ბებიების ასაკში შევიდნენ და ჩემთვის აღარავის სცალია. ამ საკითხს სამომავლოდ უნდა გადავხედოო და გაიღიმა, თუმცა, წლების მანძილზე ერთი ნაცნობი ქალი მომწონდა. სამწუხაროდ, ცხოვრება ვერ აეწყო, მაგრამ ამ ყოველივეს არ იმჩნევს. ის ძალზედ უბრალო და ხალასი ქალია. ვალენტინობის დღეს შევხვდით... მისი ნახვა გულს მიხარებს. ოდნავი პაუზის შემდეგ ამოიოხრა და გააგრძელა. „ეჰ, ჩემო ძმაო, თავგადასავლებს რა მოთვლის, ქვეყნად. მარტო ქალები კი არაა ამ ცხოვრებაში."

- მერე რა გვიშლის ხელს, ჩემო არჩილ? აგერ ჩემი კალამი და აგერ კიდევ შენი ნაამბობი. შენ მომიყევი, მე კი დავწერ.

- ჯერ ეგ ვიკმაროთ,– მიპასუხა მან. მერე კი თავისუფალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს გავაგრძელოთ საუბარი.

იგი შემეკითხა, შენ მართლა აპირებ ამის დაწერას? - დღეს ყველა ყველაფერზე წერს, ჩემო ძმაო, მეც მოვსინჯავ, ამით რა დაშავდება?

ამაზე მას გაეღიმა.

-კი, მაგრამ, სპონსორი გყაავს? წიგნი დღეს არავის აინტერესებს.

-სპონსორი მყავდა, კარგი ადამიანი. რამდენიმე წიგნის გამოცემაშიც დამეხმარა ჩემი მეგობარი იგორ კრეიდენკო. ერთხელ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ – ბატონმა თამაზ წივწივაძემ იგორზე მითხრა, ამ კაცს ძეგლი უნდა დაუდგაო. რას ვიზამ ჩემო არჩილ? – პენსიიდან დავზოგავ, თაბახს, საღებავს ვიყიდი და ნაცნობ ამხანაგთან წიგნს პრინტერზე ამოვბეჭდავ.

-შენ რა, ზაქარია ჭიჭინაძე ხარ?

ამ სიტყვებზე ოდნავ გამეღიმა, მერე ვუთხარი: აბა, რა ვქნა, ჩემო არჩილ, ხელგაწვდილი ხომ არ ვივლი ამ დუნიაზე?

მაგის შეძენაში მეც დაგეხმარებიო, –მითხრა. მომავალ შეხვედრისთვის შევთანხმდით და ერთმანეთს დავემშვიდობეთ.

14 თებერვალი 2010 წელი.